განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები

მაგისტრატურა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 14.06.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი - 01.08.2022

თბილისი
2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები** Lexicography, Terminology and Modern Technologies
უმაღლესი განათლების საფეხური	II (მაგისტრატურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ლექსიკოგრაფიის მაგისტრი Master of Lexicography
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0231 - ენის დაუფლება / Language Acquisition
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	----
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე დარჩია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელისო ფანცხავა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა მჭედლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა "ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები" განხორციელდება ამავე უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრის ბაზაზე. მაგისტრანტებს საშუალება ექნებათ, ჩაერთონ ცენტრის მრავალფეროვან პროგრამებსა და პროექტებში და განავითარონ როგორც კვლევითი, ისე პრაქტიკული უნარები. გარდა ამისა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ლექსიკოგრაფიის ევროპული სამაგისტრო პროგრამა EMLex-ს ასოცირებული წევრი, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი აღნიშნული პროგრამის საერთაშორისო კონსორციუმის ხარისხის კომიტეტის წევრია. პროგრამას ახორციელებს ელექტრონული ლექსიკოგრაფიის მიმართულებით ღირებული და, შეიძლება ითქვას, უნიკალური გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

თანამედროვე ტექნოლოგიების კონცეპტუალურ და ტექნიკურ დეტალებში გათვითცნობიერებულ ლექსიკოგრაფიის სპეციალისტებზე განსაკუთრებით დიდია მოთხოვნა საქართველოს შრომის ბაზარზე, რასაც განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი: ა) დღეისათვის ქართულ ენაზე არსებული სხვადასხვა ტიპის და მიზანდასახულობის ლექსიკონების სიმცირე; ბ) უკვე არსებული ლექსიკონების ონლაინ ფორმატში მომზადების საჭიროება; გ) უახლესი ლექსიკოგრაფიული ცოდნისა და უნარების მქონე სპეციალისტების არასაკმარისი რაოდენობა; დ) ქართული ენის სახელმწიფო სტრატეგია, რაც ბევრ სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებასთან ერთად გულისხმობს სხვადასხვა დარგობრივი ტერმინილოგიისა და მეტა-ენის განვითარებას და შესაბამის ვალდებულებებს აკისრებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის ლექსიკოგრაფია - როგორც ერთ-ერთი სამაგისტრო პროგრამის მოდული - ისწავლება მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მისასალმებელია, თუ სხვა უნივერსიტეტებიც ჩაერთვებიან ამ მნიშვნელოვანი დარგის სწავლების პროცესში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა 2022 წლის 14 ივლისს, ძირითადად, დასწრებულ ფორმატში, თუმცა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების ჩატარება საჭირო გახდა ჰიბრიდულად, ელექტრონული პლატფორმა ZOOM-ის გამოყენებით. ვიზიტში მონაწილეობდნენ:

- ირინე დარჩია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- თამარ გვიანიშვილი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი;
- ელისო ფანცხავა, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ანა მჭედლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სტუდენტი).

ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები და ინტერვიუები შემდეგ დაინტერესებულ მხარეებთან: ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. გარდა ამისა, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს შესაბამისი მატერიალური რესურსები (ბიბლიოთეკა, ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი და სხვ.).

ექსპერტებს გამოყოფილი ჰქონდათ დრო მიღებული ინფორმაციის გასააზრებლად, ძირითადი მიგნებების შესამუშავებლად. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ექსპერტების პირველადი მოსაზრებები, სააკრედიტაციოდ წარდგენილი პროგრამის ძლიერი მხარეები და საუკეთესო პრაქტიკა, რეკომენდაცია და რჩევები. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აკრედიტაციის ექსპერტებისთვის უზრუნველყვეს ეფექტიანი სამუშაო გარემო, ამომწურავი და დამაჯერებელი პასუხები გასცეს ყველა იმ შეკითხვას, რომლებიც დაისვა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრის მიერ. ვიზიტის დროს დადასტურდა "ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების" პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაციის სიზუსტე. აღსანიშნავია, რომ ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო პროგრამის ის ძლიერი მხარეები, რომლებიც თვითშეფასების ანგარიშში მკაფიოდ არ იყო წარმოჩენილი. შეფასების შედეგები აისახა დასკვნის პროექტში.

ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა ორი რეკომენდაცია, რომლებიც შეეხებოდა პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული უცხოური ენის კურსებს და ქართულ ენაში ცოდნის გაღრმავებას. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაიზიარა მეორე რეკომენდაცია, არჩევითი საგნების ჩამონათვალს დაამატა სასწავლო კურსი „ენა და სტილი" და წარმოადგინა შესაბამისი სილაბუსი, რომლის მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი სრულად შეესაბამება ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციას, რაც ძალიან მისასალმებელია, მაგრამ ექსპერტებმა შესაბამისი რეკომენდაცია ძალაში დატოვეს სააკრედიტაციო რეგულაციებიდან გამომდინარე (არჩევითი საგნის დამატება მოხდა სააკრედიტაციო ვიზიტის შემდეგ).

ექსპერტები გაეცნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, მაგრამ ძალაში დატოვეს რეკომენდაცია არჩევითი საგნების ფარგლებში უცხოური ენის სწავლების კომპონენტის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

"ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების" სამაგისტრო პროგრამა <u>სრულად შეესაბამება აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტს</u>:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ქვესტანდარტი 2.3 - სასწავლო კურსი - შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

- **რეკომენდაციები**

○ სამაგისტრო პროგრამაში უცხო ენების არჩევითი კურსების ხანგრძლივობის გაზრდა ერთი სემესტრიდან სამ სემესტრამდე;

○ სამაგისტრო პროგრამის არჩევით საგნებს დაემატოს ისეთი სასწავლო კურსი, რომლის ფარგლებშიც მოხდება ქართულ ენაში ცოდნის გაღრმავება (გრამატიკის, თანამედროვე ქართული ენის ნორმებისა და სტილისტიკის მიმართულებით და სხვ.).

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

○ მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასთან, რათა აღმოიფხვრას საკანონმდებლო დონეზე არსებული ბარიერები ერაზმუს მუნდუსის ერთობლივ პროგრამებთან, ე.წ. European Master/ევროპული მაგისტრის ხარისხთან მიმართებაში, რაც სასურველია შეეხებოდეს როგორც მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს, ისე პარტნიორებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმატს და შინაარს;

○ მხატვრული ლიტერატურის ლექსიკოგრაფიული ანალიზის კომპონენტის განვითარება არჩევითი კურსის/კვლევითი პროექტების/საზაფხულო სკოლების და სხვ. საშუალებით;

○ ლექსიკოგრაფიის მიმართულებით პროფესიული განვითარების/ გადამზადების/ კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება (მაგალითად, ტრენინგ კურსები, მოდულები, სეზონური სკოლები და სხვ.) სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისთვის;

○ სტუდენტების ინფორმირებულობის ზრდა მიმდინარე სტუდენტური აქტივობების შესახებ.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

○ "ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების" სამაგისტრო პროგრამის ძლიერი კავშირი სახელმწიფო ენის სტრატეგიასთან;

○ ლექსიკოგრაფიის დარგობრივი მახასიათებლის მომზადება საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომ-

ლობით, როგორც მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ლექსიკოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი დარგის სწავლების უზრუნველსაყოფად;

- უნივერსიტეტში დაფუძნებული ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტ-რის საქმიანობა და თანამშრომლობა ლექსიკოგრაფიის ევროპულ სამაგისტრო პროგრამა EMLex-თან;
- ლექსიკოგრაფიის მიმართულების პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია;
- უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკა (ძლიერი კადრების მოძიება და მათი უზრუნველყოფა კომფორტული სამუშაო პირობებით);
- უნივერსიტეტში დანერგილი ინტერნაციონალიზაციის და კვლევების განვითარებისთვის აუცილებელი ინსტიტუციური მხარდაჭერის მექანიზმები;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (ცენტრალური ოფისის) და თითოეულ ფაკულტეტზე შექმნილი ხარისხის უზრულველყოფის სამსახურების მოქმედება ერთიანი საუნივერსიტეტო პოლიტიკისა და მიდგომების შესაბამისად, გამართული საქმიანობა უფლებამოსილებების სწორი დელეგირების (მათ შორის, ფაკულტეტის ფართო ავტონომიის), აქტიური თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის პრინციპებზე დაყრდნობით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  პროგრამა ახალია და, ამდენად, აკრედიტაცია არ აქვს მიღებული.

ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებული პოზიციის განხილვის შედეგების შესახებ

- ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა ორი რეკომენდაცია, რომლებიც შეეხებოდა პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული უცხოური ენის კურსს და ქართულ ენაში ცოდნის გაღრმავებას. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაიზიარა მეორე რეკომენდაცია, არჩევითი საგნების ჩამონათვალს დაამატა სასწავლო კურსი „ენა და სტილი“ და წარმოადგინა შესაბამისი სილაბუსი, რომლის მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი სრულად შეესაბამება ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციას, რაც ძალიან მისასალმებელია, მაგრამ ექსპერტებმა შესაბამისი რეკომენდაცია ძალაში დატოვეს სააკრედიტაციო რეგულაციებიდან გამომდინარე (არჩევითი საგნის დამატება მოხდა სააკრედიტაციო ვიზიტის შემდეგ).
- ექსპერტები გაეცნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, მაგრამ ძალაში დატოვეს რეკომენდაცია არჩევითი საგნების ფარგლებში უცხოური ენის სწავლების კომპონენტის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა სახის დოკუმენტაციაზე, ისევე როგორც სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულ გასაუბრებებზე დაყრდნობით, დგინდება, რომ თავისი მიზნებითა და შინაარსით, აგრეთვე გამოყენებითი ასპექტებითა და ინტერნაციონალიზაციით სამაგისტრო პროგრამა „ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები“ სრულად შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მისიასა და სტრატეგიას, რაც ცოდნის შექმნას, გადაცემასა და გამოყენებას გულისხმობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. პროგრამის მიზნები ფორმულირებულია მკაფიოდ, გასაგებად და რეალისტურად. პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია როგორც დაწესებულების ადამიანური და მატერიალური რესურსი, ისე ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიის ფორმირებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება, ის საჭიროებები, რომლებიც არსებობს საქართველოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სისტემაში, შრომისა და განათლების ბაზრის ვითარება. თანამედროვე ტექნოლოგიების კონცეპტუალურ და ტექნიკურ დეტალებში გათვითცნობიერებულ ლექსიკოგრაფიის სპეციალისტებზე განსაკუთრებით დიდია მოთხოვნა საქართველოს შრომის ბაზარზე, რასაც განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი: ა) დღეისათვის ქართულ ენაზე არსებული სხვადასხვა ტიპის და მიზანდასახულობის ლექსიკონების სიმცირე; ბ) უკვე არსებული ლექსიკონების ონლაინ ფორმატში მომზადების საჭიროება; გ) უახლესი ლექსიკოგრაფიული ცოდნისა და უნარების მქონე სპეციალისტების არასაკმარისი რაოდენობა; დ) ქართული ენის სახელმწიფო სტრატეგია, რაც ბევრ სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებასთან ერთად გულისხმობს სხვადასხვა დარგობრივი ტერმინილოგიისა და მეტა-ენის განვითარებას და შესაბამის ვალდებულებებს აკისრებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის ლექსიკოგრაფია - როგორც ერთ-ერთი სამაგისტრო პროგრამის მოდული - ისწავლება მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მისასალმებელია, თუ სხვა უნივერსიტეტებიც ჩაერთვებიან ამ მნიშვნელოვანი დარგის სწავლების პროცესში. “ლექსიკოგრაფიის,

ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების" სამაგისტრო პროგრამის ძლიერი კავშირი სახელმწიფო ენის სტრატეგიასთან პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ და საუკეთესო პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს.

აღსანიშნავია სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამაზე მომუშავე მთელი გუნდის, პროგრამის განმახორციელებელი პირების სწორი სტრატეგიული ხედვა, ფუნდამენტური და გამოყენებითი ასპექტების, თეორიული და პრაქტიკული სწავლების ჰარმონიული შერწყმა პროგრამის მთელი კონცეფციის ფორმირების პროცესში.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა, მატერიალური რესურსების გაცნობამ და პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა ნათელყო, რომ პროგრამაში ფორმულირებული მიზნები სავსებით მიღწევადია არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების, აგრეთვე არსებული საერთაშორისო კონტაქტების გამოყენებით.

სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა ჯერჯერობით არ არის განთავსებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ვინაიდან პროგრამა ახალია და მასზე მიღება ვერ გამოცხადდება აკრედიტაციის მიღებამდე. პროგრამის განმახორციელებელ პირებთან - როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ პროგრამის მიზნები (სხვა მნიშვნელოვან კონცეპტუალურ საკითხებთან ერთად) გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ (პროგრამის შემუშავების პროცესის ღიაობის, მასში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ექსპერტთა დასკვნაში მეორე და მეხუთე სტანდარტებისთვის).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია: https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission;
- ინტერვიუ აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- "ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების" სამაგისტრო პროგრამის ძლიერი კავშირი სახელმწიფო ენის სტრატეგიასთან.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
• პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; • შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც პროგრამის აღწერილობა (კურიკულუმი) და სილაბუსები მოწმობს, "ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების" სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს შესაბამის, მეშვიდე დონეს და მის აღმწერებს (ცოდნა-გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კრიტერიუმების შესაბამისად), ისევე როგორც ლექსიკოგრაფიის მაგისტრის მისანიჭებელ კვალიფიკაციას/აკადემიურ ხარისხს. სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია როგორც შესაბამისი მიმართულებებით სიღრმისეული ცოდნის გადაცემა, ისე მისი პრაქტიკაში დანერგვის ასპექტები, ტექნოლოგიური, საკომუნიკაციო, სისტემური და ინტერპერსონალური უნარების გამომუშავება. საგანგებო ადგილი ეთმობა აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პატიოსნების კომპეტენციასაც. სწავლის შედეგები არის ფორმულირებული კონკრეტული დარგის საჭიროებების შესაბამისად, შრომის ბაზრისა და დასაქმების სფეროსთვის არსებითი მოთხოვნების გათვალისწინებით. სწავლის შედეგები იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მექანიკურად არ იმეორებს კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს ფორმულირებებს, რის შედეგადაც შესაძლებელია თითოეული მათგანის გაზომვა შეფასების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოყვანილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგია, ისევე როგორც გამოყოფილი დრო და დასამუშავებელი მასალა ცხადყოფს, რომ სწავლის შედეგები მიღწევადი და რეალისტურია. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით არ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს მიერ ოფიციალურად დამტკიცებული და, ამდენად, მოქმედი ლექსიკოგრაფიის დარგობრივი მახასიათებელი, თუმცა მისი სამუშაო ვერსია მომზადდა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს განსახილველად წარედგინა სწორედ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და, კერძოდ, "ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელისა და მისი გუნდის ინიციატივით. ენის დაუფლების დარგობრივმა საბჭომ უკვე განიხილა ლექსიკოგრაფიის დარგობრივი მახასიათებლის სამუშაო ვერსია და მისი საჯარო განხილვა დაგეგმილია 2022 წლის 28 ივლისს (ინფორმაცია დეტალურად იხ.: https://eqe.ge/ka/posts/3709/leqsikografiis-umaghlesi-ganatlebis-dargobrivi-makhasiateblis-proeqtis-sajaro-gankhilva). როგორც ინტერვიუებმა ცხადყო, ლექსიკოგრაფიის დარგობრივი მახასიათებლის სამუშაო ვერსია - რომელიც შემუშავებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის და ლოკალური საჭიროებების გათვალისწინებით - გათვალისწინებულ იქნა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების პროცესში. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ლექსიკოგრაფიის დარგობრივი მახასიათებლის სამუშაო ვერსიის მომზადება საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით უნდა ჩაითვალოს ძლიერ მხარედ და საუკეთესო პრაქტიკად, როგორც მნიშვნელოვანი წვლილის

შეტანა ლექსიკოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი დარგის სწავლების უზრუნველ-საყოფად.

“ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების” სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშმა და თანდართულმა დოკუმენტაციამ, ისევე როგორც ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების განსაზღვრისა და განვითარების მექანიზმი, რომელიც მოიცავს აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებს.

ვინაიდან “ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების” სამაგისტრო პროგრამა ახალია და ჯერ აკრედიტებული არ არის, სწავლის შედეგების გაცნობა პოტენციური სტუდენტებისა და გარე საზოგადოებისთვის ვებგვერდის საშუალებით ვერ მოხდება.

“ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების” სამაგისტრო პროგრამას შემუშავებული და დანერგილი აქვს სწავლის შედეგების შეფასების წესი, რომლის მიზანია:

1. დადგინდეს რამდენად არის მიღწეული პროგრამის სწავლის შედეგები და რამდენად პასუხობს ის სტუდენტებისა და პოტენციური დამსაქმებლების საჭიროებებსა და მოთხოვნებს;

2. დადგინდეს პროგრამის განხორციელების პროცესში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები, დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი ინტერვენციები პროგ-რამის განვითარებისა და მისი მუდმივი სრულყოფისათვის.

ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტენსიური კომუნიკაციის შედეგად (საუნივერსიტეტო რეგულაციების გაცნობა, მიმოწერა, სამუშაო და საკონსულტაციო შეხვედრები და სხვ.), პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ სისტემურად აქვთ კომუნიკაცია და უკუკავშირი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან, სხვადასხვა სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორთან, რათა მუდმივად იყონ ინფორმირებული იმ პროგრესზე, რაც სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში აქვთ.

აკრედიტაციის მეხუთე სტანდარტის შეფასებისას დეტალურად არის აღწერილი თუ როგორ არის დაგეგმილი პროგრამის შინაარსის და სხვა კონცეპტუალური საკითხების მოდიფიკაცია-გაუმჯობესება სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით შეფასების და ანალიზის შემდეგ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;
- ლექსიკოგრაფიის დარგობრივი მახასიათებლის სამუშაო ვერსია: https://eqe.ge/ka/page/static/813/sajaro-gankhilva;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ "ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების" სამაგისტრო პროგრამის ძლიერი კავშირი სახელმწიფო ენის სტრატეგიასთან.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების" სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს შესაბამისი დარგის სპეციფიკას და თანხვედრაშია არსებულ კანონმდებლობასთან. აპლიკანტი უნდა ფლობდეს სულ მცირე, ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს და მან უნდა ჩააბაროს როგორც საერთო სამაგისტრო, ასევე შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა

ზეპირი სახისაა და ამოწმებს აპლიკანტის დარგობრივ (ლექსიკოგრაფიის) ცოდნას, ინგლისური ენის ცოდნას (B2 დონე), ზეპირი კომუნიკაციის უნარსა და მოტივაციას. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შეფასება 100 ქულიანი სისტემით ხორციელდება და აპლიკანტი, რომელიც 51 ქულაზე ნაკლებს დააგროვებს, ვერ შეძლებს პროგრამაზე მოხვედრას. პროგრამაზე მიღების ინფორმაცია განთავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე აკრედიტაციის მიღების შემდეგ. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის PR სამსახურის მხარდაჭერით, სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ შეიქმნება საინფორმაციო ბუკლეტები მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, ხოლო ღია კარის დღეებში მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაინტერესებული აუდიტორიისათვის წარადგენს მოქმედი პროგრამების შინაარსსა და დეტალებს. პროგრამა საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის სტრუქტურასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შეკითხვები პროგრამის ხელმძღვანელთან: ა) რამდენადაც ინგლისური ენის ცოდნა (B2 დონე) აუცილებელი პირობაა პროგრამაზე მოსახვედრად, რამდენად საკმარისია ენობრივი ცოდნის შესამოწმებლად მხოლოდ ზეპირი გამოცდის ინგლისურენოვანი კომპონენტი, სადაც პროფესიული/დარგობრივი ტექსტის გაგებისა და გადმოცემის უნარი მოწმდება, ხომ არ არსებობს კიდევ ერთი წერილობითი, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საჭიროება ინგლისურ ენაში; ბ) რამდენადაც პროგრამის სახელწოდება შეიცავს კომპონენტს „თანამედროვე ტექნოლოგიები“, ხომ არ უნდა შემოწმდეს მისაღებ გამოცდაზე ტექნოლოგიების წინარე ცოდნა. პირველ შეკითხვაზე პასუხად პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მსგავსი წერილობითი გამოცდის შედეგად ზოგადი ენობრივი კომპეტენციის შემოწმება (მაგალითად, გრამატიკული ფორმების უშეცდომოდ გამოყენების უნარი) გაცილებით ნაკლებ რელევანტურია პროგრამის შინაარსისა და სწავლის შედეგებისთვის, ვიდრე აპლიკანტის მიერ ინგლისურენოვან დარგობრივ ტექსტზე მუშაობის, მისი მართებული გაგების უნარის დემონსტრირება. რამდენადაც პროგრამის მსვლელობისას სტუდენტებს მუდმივად უწევთ ინგლისურენოვან დარგობრივ ლიტერატურასთან შეხება, ინგლისურენოვან მასალაზე მუშაობა, მნიშვნელოვანია, რომ მისაღებმა გამოცდამ სწორედ ამ კუთხით შეამოწმოს აპლიკანტთა მზადყოფნა და ენობრივი დონე. რაც შეეხება მეორე შეკითხვას, ხელმძღვანელის თქმით, ყველა ის ტექნოლოგიური უნარ-ჩვევა, რომელსაც პროგრამა მოითხოვს, სპეციფიკური ხასიათისაა, მათი ათვისება პროგრამის მიმდინარეობისას ხდება და არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნოლოგიურ წინარე მომზადებას. პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრებები ორივე შემთხვევაში ლოგიკური არგუმენტებით და მაგალითებით იყო განმტკიცებული და ექსპერტთა ჯგუფმაც გაიზიარა მისი პოზიცია. ექსპერტებს ასევე ჰქონდათ შეკითხვა ზეპირ გამოცდაზე შესატანი დარგობრივი (ლექსიკოგრაფიული) საკითხების და მასალების შესახებ და პროგრამის ხელმძღვანელის თანახმად, პროგრამის მიერ აკრედიტაციის გავლის შემდეგ საგამოცდო საკითხთა ჩამონათვალი და საგამოცდო მასალის მოსამზადებლად რეკომენდირებული წყაროები საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- პროგრამაზე მიღების დოკუმენტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი;

○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამა შედგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამათა შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების დაცვით, რომელიც პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვის ძირითად პრინციპებსა და ეტაპებს მოიცავს. პროგრამამ შემუშავების შემდეგი ეტაპები განვლო: პროგრამის სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება (შემადგენლობა: პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი, მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი); სამუშაო ჯგუფის მიერ პროგრამის სრული პაკეტის შემუშავება; პროგრამის გაცნობა პოტენციური დამსაქმებლებისთვის და ფოკუს-ჯგუფთან მუშაობა; მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ფოკუს-ჯგუფთან მუშაობა; გარე შეფასების პროცედურა (შემფასებლები: რუფუს გოუვსი (სტელენბოსის უნივერსიტეტი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) და დონა ფარინა (ნიუ ჯერსის უნივერსიტეტის პროფესორი, ამერიკის შეერთებული შტატები); პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ უკუკავშირის შედეგად მიღებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება; სწავლის შედეგებისა და მათი შეფასების მექანიზმის განსაზღვრის თაობაზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კონსულტაცია და უკუკავშირი; პროგრამის საბოლოო ვერსიის განხილვა მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს მიერ; უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ წარდგენილი პროგრამისა და ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის განხილვა პროგრამის შიდა და გარე სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე და პროგრამის დამტკიცება.

პროგრამის შინაარსი სრულ თანხვედრაშია სწავლების სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებთან და ითვალისწინებს დაშვების წინაპირობას; პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ხანგრძლივობა 4 სემესტრია და იგი 120 კრედიტს მოიცავს: სავალდებულო კურსები - 54 კრედიტი; არჩევითი კურსები - 36 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი. ვიზიტის დროს განხორციელებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა თვითშეფასების დოკუმენტის განაცხადი, რომ პროგრამის შინაარსის და სტრუქტურის აგებისას გათვალისწინებულ იქნა როგორც დამსაქმებლებისა და გარე შემფასებლების, ასევე მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებისაგან მიღებული უკუკავშირი. პროგრამაში წარმოდგენილი თეორიული სავალდებულო და არჩევითი კურსები, პრაქტიკული კურსები (და მათში ჩაშენებული პრაქტიკა) ერთობლივად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების წარმატებულ მიღწევას. პროგრამაში შემავალი ყველა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ლოგიკურადაა დალაგებული და შინაარსობრივად ვითარდება; საგანთა წინაპირობები ადეკვატური და აუცილებლობიდან გამომდინარეა.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულიად გაიზიარა პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციისა და ხარისხის მართვის წარმომადგენლების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა/სტუდენტთა ინტერვიუების დროს გამოთქმული მოსაზრებები პროგრამის აქტუალურობისა და დიდი სამომავლო პოტენციალის შესახებ. ექსპერტებმა გამოთქვეს გარკვეული მოსაზრებები არჩევით კურსებთან დაკავშირებით (დეტალურად, იხ.: დასკვნის პროექტი 2.3. ქვესტანდარტისთვის). ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შეკითხვა, თუ რატომ არაა გათვალისწინებული სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში ცალკე სამაგისტრო ნაშრომის დიზაინის ან აკადემიური წერის კურსი. ინტერვიუზე მოვისმინეთ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის არგუმენტირებული პასუხი, რომ დისციპლინის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო კურსთა უმეტესობა შეიცავს კვლევით პროექტს, რომელიც სამაგისტრო კვლევის პრინციპით იგება და რომლის შეფასებაშიც ჩაშლილია ყველა ის მოთხოვნა, რაც სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურასა და შინაარსს, სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებას, კვლევის მეთოდოლოგიას, მონაცემთა ანალიზსა და ინტერპრეტაციას, ნაშრომის ენობრივ გამართულობას, აკადემიურ კეთილსინდისიერებას, აუდიტორიასთან კონტაქტის უნარს მოიცავს. შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისათვის აუცილებელ კომპეტენციებს სტუდენტი მთელი პროგრამის მსვლელობისას იძენს სპეციალობის ყველა საკვანძო მიმართულებით. კომისიამ გაიზიარა პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- სილაბუსები;
- სწავლის მიზნების რუკა;
- პროგრამის კომპეტენციების რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასება (სამიზნე ნიშნულების რუკა);
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;
- პერსონალის შეხვედრების ოქმები;
- გარე შეფასება;

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი https://iliauni.edu.ge/uploads/other/62/62288.pdf .

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/ მოდულის/ კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების“ პროგრამის კომპეტენციების რუკის, სილაბუსების, ადგილზე ვიზიტისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო კურსთა სტრუქტურა, წინაპირობები, სწავლების მეთოდები და რესურსები სტუდენტს ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში. სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსთა სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სამიზნე ნიშნულების რუკა აჩვენებს, თუ პროგრამის რომელ სწავლის შედეგს/შედეგებს უზრუნველყოფს ესა თუ ის კურსი, უთითებს შეფასების შესაბამის ინსტრუმენტსა და პერიოდულობას. რამდენიმე სასწავლო კურსს აქვს ლოგიკურად განსაზღვრული წინაპირობა. სასწავლო კურსების შინაარსი და მოსალოდნელი შედეგები განაპირობებს კრედიტების განაწილებას, სილაბუსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ადეკვატურ შეფარდებას. სილაბუსებში სათანადოდაა განსაზღვრული შეფასების შესაბამისი კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, რაც სტუდენტის პროგრესზე უწყვეტი დაკვირვების საშუალებას იძლევა და უზრუნველყოფს სწავლის სასურველი შედეგის მიღწევას. ცალკე აღნიშვნას მოითხოვს ორ სასწავლო კურსში ჩაშენებული პრაქტიკა, რომელიც სტუდენტების პროფესიული უნარ-ჩვევების

განვითარებასა და დახვეწას უწყობს ხელს (დეტალურად იხ.: ექსპერტთა დასკვნა 2.4. ქვესტანდარტისთვის).

სასწავლო კურსების სილაბუსები სფეროსათვის აქტუალურ, თანამედროვე მიღწევებისა და ტენდენციების ამსახველ მრავალფეროვან ლიტერატურასა თუ სასწავლო რესურსებს მოიცავს, რომელთა რაოდენობა და ხარისხიც სრულიად შეესაბამება სწავლების დონეს. კურსების სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და რიდერები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკის პორტალზე, ელექტრონული სისტემა „არგუსის“ ან პორტალ E-learning-ის მეშვეობით. სასწავლო კურსებში შემავალი საკითხების უმეტესობას სტუდენტები რამდენიმე წყაროზე დაყრდნობით ამზადებენ, რაც მათ ცოდნის სინთეზირებასა და შეჯამებაში, კრიტიკული ანალიზის უნარის განვითარებაში უწყობს ხელს.

სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია სამეცნიერო ელექტრონული ბაზები (ScienceDirect, Scopus, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, SAGE და სხვა) როგორც ადგილზე, უნივერსიტეტში, ასევე არასაუნივერსიტეტო სივრცეში (კორპორატიული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით), რაც უდავოდ მნიშვნელოვანია, რადგან მოცემული სპეციალობა სხვადასხვა დარგის სამეცნიერო წყაროებთან ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს.

კურსების ეფექტიანობა მოწმდება სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვით, რომელიც სასწავლო კურსების შინაარსს, მოცულობას, რესურსებს, სტუდენტთა დატვირთვასა და შეფასების სისტემას ეხება. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომია პროგრამის ხელმძღვანელისა და კურსის განმახორციელებელი პირისთვის, კომპონენტის შემდგომი დახვეწისა და სრულყოფის მიზნით. რამდენადაც მოცემული პროგრამა ახალია, მტკიცებულების სახით წარმოდგენილია მომიჯნავე სფეროს (კომპიუტერული ენათმეცნიერება; ციფრული ჰუმანიტარია და ლინგვისტიკა) კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

წარმოდგენილი მასალების შესწავლისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს შენიშვნები ძირითად კურსებთან დაკავშირებით, თუმცა გვაქვს რამდენიმე ტექნიკური ხასიათის შენიშვნა არჩევითი კურსების თაობაზე. უნდა გასწორდეს არჩევით კურსთა ცალკეულ სილაბუსებში აღმოჩენილი ტექნიკური ხასიათის ხარვეზები (კერძოდ, მექანიკური მცდარბეჭდილები; დასკვნითი შეფასების კომპონენტი არჩევითი კურსისთვის „პროგრამირება ჰუმანიტარებისათვის“ - დასკვნით შეფასებად მითითებულია 20 ქულა, კომპონენტების დაჯამებით კი 30 ქულას ვიღებთ).

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია ეხება სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ენების შესწავლის კომპონენტის გაძლიერებას. პროგრამა სტუდენტებს არჩევით კომპონენტად სთავაზობს C1 დონის შესაბამის ინგლისური, ესპანური, ფრანგული, იტალიური, და გერმანული ენის პრაქტიკულ კურსებს, რომელთა ხანგრძლივობაც ერთი სემესტრია. მომიჯნავე სფეროს კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ინტერვიუებში განსაკუთრებით გამოიკვეთა უცხო ენების უკეთ დაუფლების აუცილებლობა. ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის შემოწმება შიდასაუნივერსიტეტო მისაღები გამოცდის ერთ-ერთი კომპონენტია, მაგრამ დანარჩენი უცხო ენებისთვის მსგავსი შეფასების მექანიზმი არ გვაქვს და მოსალოდნელია შემთხვევები, როდესაც პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა ნაწილის ცოდნა მეორე უცხო ენაში საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) შედარებით დაბალი საფეხურის შესატყვისი აღმოჩნდება. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს უცხო ენების არჩევითი კურსების სწავლების ხანგრძლივობის გაზრდას 3

სემესტრამდე და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, უცხო ენის პრაქტიკული კურსების შეთავაზებას B1 და B2 დონიდან. ინგლისური ენის შემთხვევაშიც, სადაც შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ერთ-ერთი კომპონენტი B2 დონის ენობრივი ცოდნის განსაზღვრაა, ვთვლით, რომ ენის არჩევითი პრაქტიკული კურსი სამი სემესტრის განმავლობაში უნდა გრძელდებოდეს, რაც სტუდენტებს იმ ენის სრულყოფილი დაუფლების საშუალებას მისცემს, რომელიც მათი პროფესიული განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია. ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის (C1) გახანგრძლივების საჭიროებაზე სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურის ნაწილიც მოწმობს: სახელმძღვანელოთა ჩამონათვალში სილაბუსის ავტორი უთითებს Barron's-ის სერიის ბრომბერგისა და გორდონის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოს "1100 Words You Need to Know", რომელიც აკადემიური ინგლისური ლექსიკის დაუფლების კუთხით დღესდღეობით არსებულ საუკეთესო რესურსად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა სახელმძღვანელოში შემავალი 46 კვირის მასალიდან სილაბუსი მხოლოდ 7 კვირას მოიცავს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია წიგნში მოცემული მასალა სრულად იყოს ათვისებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსში ელექტრონული ბმულის https://bit.ly/3xmTcC სახითაა წარმოდგენილი ამ სახელმძღვანელოს შედარებით ძველი ვერსია (6-th edition), მაშინ, როცა საქართველოში ბეჭდური სახით თავისუფლად ხელმისაწვდომია სახელმძღვანელოს განახლებული ვერსია (7-th edition). სასურველია, სახელმძღვანელო უახლესი, გადამუშავებული ვერსიით ჩანაცვლდეს. სილაბუსის ავტორს ასევე ვურჩევდით Barron's-ის სერიის კიდევ ერთ სახელმძღვანელოს " 601 Words You Need to Know," რომლის შედგენისას სხვადასხვა დარგობრივი თემატიკაა გათვალისწინებული.

მეორე ენობრივი კომპონენტი, რომლის გაძლიერების რეკომენდაციასაც ექსპერტთა ჯგუფი იძლევა, ქართული ენის სწავლებაა. პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუში გამოიკვეთა ამ ასპექტის არსებითი მნიშვნელობა. რადგან პროგრამის ერთ-ერთ ღირსებას სახელმწიფო ენის სტრატეგიის კუთხით სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან სამომავლო თანამშრომლობა წარმოადგენს, არსებითია, რომ პროგრამამ საშუალება მისცეს სტუდენტებს, გაიღრმავონ, გაიუმჯობესონ ცოდნა ქართული ენის მიმართულებით. როგორც სასწავლო კურსების სილაბუსთა უმეტესობამ და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუმ აჩვენა, ამ კომპონენტის დახვეწა მუდმივად მიმდინარეობს სასწავლო კურსების ფარგლებში, მაგრამ ვინაიდან პროგრამაზე ხდება სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტების მიღება, მათ ნაწილს შეიძლება არ ჰქონდეს ის აუცილებელი ენობრივი კომპეტენცია ქართულში, რაც ლექსიკოგრაფიული მიმართულებით საქმიანობისთვის იქნება საჭირო და ამ კატეგორიის სტუდენტს სასურველია „მიეცეს საშუალება, გაერკვეს ქართული ენის იმ ნიუანსებში, რაც შეიძლება მაგისტრანტმა არ იცოდეს, თავისი წინარე განათლებიდან გამომდინარე" (ბრჭყალებში მოგვყავს ამონარიდი ერთ-ერთი ინტერვიუდან). აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს სტუდენტებს არჩევით საგნად შევთავაზოთ ისეთი სასწავლო კურსი, რომლის ფარგლებშიც მოხდება ქართულ ენაში ცოდნის გაღრმავება (გრამატიკის, თანამედროვე ქართული ენის ნორმებისა და სტილისტიკის მიმართულებით და სხვ.).

კიდევ ერთი მხარე, რომლის გაძლიერებაც შესაძლებელია პროგრამის ფარგლებში, მხატვრულ ლიტერატურაზე ლექსიკოგრაფიული მუშაობის კომპონენტია. ილიას უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრს, რომელიც ამ პროგრამის მყარ დასაყრდენს წარმოადგენს, უკვე აქვს განხორციელებული მსგავსი პროექტი, „გოთური და ანგლო-საქსური წერილობითი ძეგლების ქრესტომათია"

https://germanic.ge/ka/ang/record-trans/b%C3%A9owulf-en/, პროგრამის ხელმძღვანელთან საუბარში გამოიკვეთა, რომ სამომავლოდ პროგრამის ამ კუთხით განვითარების სურვილი და მზადყოფნა არსებობს. აქვე წარმოგიდგენთ მოცემული მიმართულებით პროგრამის განვითარების რამდენიმე შესაძლებლობას: 1) არჩევითი კურსი, ან საკვლევი პროექტები მსოფლიო ლიტერატურული კანონის გამორჩეული ძეგლისა და მისი თარგმანების ლექსიკოგრაფიული ანალიზის კუთხით. აქ ემპირიული მასალის დიდი არჩევანია და მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ: ა) „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ინგლისურენოვანი თარგმანის ლექსიკოგრაფიული ანალიზი ბ) შექსპირის ერთი პიესის სხვადასხვა ქართული თარგმანის ლექსიკოგრაფიული ანალიზი გ) ჯოისის „ულისეს“ ან „ღამისთევა ფინეგანისთვის“ პირველი წიგნის ქართული თარგმანების ანალიზი. უნდა აღინიშნოს, რომ ჯოისის ბოლო რომანი ლექსიკოგრაფიული ანალიზის ამოუწურავი რესურსია, როგორც ამას მოცემულ საიტზე განთავსებული მასალა მოწმობს: https://editura.mttlc.ro/Joyce%20Lexicography.html?fbclid=IwAR3bK2OSqfbo_JH_BQWHfTGu55Ew85CFTWd2U4e41VbUFKPeumF-FjDLH5w. განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება UnEnglish English Dictionary-ს https://editura.mttlc.ro/carti/sandulescu-unenglish-fw-vol1.pdf ანალოგიით „ფინეგანის“ ქართული თარგმანის ლექსიკოგრაფიული დამუშავება. 2) მხატვრული ლიტერატურის ლექსიკოგრაფიული კვლევების წარდგენა საერთაშორისო ასპარეზზე. მაგ.: EMLex-ის პარტნიორ უნივერსიტეტთა ჩამონათვალში გვხვდება იტალიური უნივერსიტეტი რომა ტრე, რომელიც რომში ყოველწლიურად აწყობს ჯეიმზ ჯოისის შემოქმედებისადმი მიძღვნილ კონფერენციას. თუ პროგრამის ფარგლებში მოხერხდება სამეცნიერო პროექტის (ჯოისის ტექსტების ქართულ თარგმანთა ლექსიკოგ-რაფიული ანალიზის) მომზადება და კვლევის შედეგების პანელის სახით ეტაპობრივად წარდგენა ხსენებულ კონფერენციაზე, ეს მომიჯნავე დარგების თანამშრომლობასაც შეუწყობს ხელს და უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობასაც გაზრდის. მსგავსი საკვლევი პროექტები შეიძლება განხორციელდეს გერმანული, იტალიური, ფრანგული, ესპანური ლიტერატურული კანონის მნიშვნელოვან ძეგლებთან და მათ ქართულენოვან თარგმანებთან მიმართებითაც, რაც EMLex-ის პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომ-ლობის კიდევ ერთ ნიშას ქმნის. 3) გამომცემლობებთან, მთარგმნელებთან და ევროპული ლიტერატურის მკვლევრებთან, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით საზაფხულო სკოლების ორგანიზება, მსოფლიო ლიტერატურულ კანონში შემავალ ძეგლთა და მათ თარგმანთა ლექსიკოგრაფიული ანალიზის, ლიტერატურულ ლექსიკონთა (სიმბოლოთა, მოტივთა, ალუზიათა ლექსიკონები) შედგენის მასტერ-კლასების ჩათვლით.

ვინაიდან ქვეყანას სჭირდება უახლესი ლექსიკოგრაფიული ცოდნისა და უნარების მქონე მეტი სპეციალისტი, მნიშვნელოვანია ლექსიკოგრაფიის მიმართულებით პროფესიული განვითარების/გადამზადების/კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება (მაგალითად, ტრენინგ კურსები, მოდულები, სეზონური სკოლები და სხვ.) სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისთვის (საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა და ბიზნესი, ხელოვნება, მედიცინა, სპორტი და სხვ.) დარგობრივ ტერმინოლოგიაზე მუშაობის, ტერმინთშემოქმედების, დარგობრივი ლექსიკონების შედგენის კუთხით, რაც ხელს შეუწყობს ხსენებულ სპეციალისტთა პროფესიული განვითარებას და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას, ქართული ენის სახელმწიფო სტრატეგიის საჭიროებების გათვალისწინებით. მსგავსი ღონისძიებები ენის სახელმწიფო დეპარტამენტთან თანამშრომლობის განვითარების, კურსდამთავრებულთა დასაქმების არეალის ზრდის, და პროგრამისთვის დამატებითი ფინანსური შემოსავლის

წყაროდ შეიძლება იქცეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სილაბუსები; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის კომპეტენციების რუკა; ○ სწავლის შედეგების რუკა; ○ მომიჯნავე სფეროს კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ პროგრამის გარე შეფასება; ○ „ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიების“ სამაგისტრო პროგრამის შეფასება დამსაქმებელთა მხრიდან; ○ ხელშეკრულებები (საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი; EBSCO; ProQuest LLC; Clarivate Analytics და სხვ.); ○ ბიბლიოთეკის ვებგვერდი; ○ ელექტრონული სისტემა „არგუსი“; ○ ელექტრონული პორტალი E-learning-ი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ სამაგისტრო პროგრამაში უცხო ენების არჩევითი კურსების ხანგრძლივობის გაზრდა ერთი სემესტრიდან სამ სემესტრამდე; ○ სამაგისტრო პროგრამის არჩევით საგნებს დაემატოს ისეთი სასწავლო კურსი, რომლის ფარგლებშიც მოხდება ქართულ ენაში ცოდნის გაღრმავება (გრამატიკის, თანამედროვე ქართული ენის ნორმებისა და სტილისტიკის მიმართულებით და სხვ.).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ მხატვრული ლიტერატურის ლექსიკოგრაფიული ანალიზის კომპონენტის განვითარება არჩევითი კურსის/კვლევითი პროექტების/საზაფხულო სკოლების და სხვ. საშუალებით; ○ ლექსიკოგრაფიის მიმართულებით პროფესიული განვითარების/ გადამზადების/ კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება (მაგალითად, ტრენინგ კურსები, მოდულები, სეზონური სკოლები და სხვ.) სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლების შედეგების შესაბამისად, სტუდენტ-თა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას. პროგრამის კურიკულუმში გვხვდება ორი პრაქტიკული კურსი: „პრაქტიკული კურსი ზოგად ლექსიკოგრაფიაში“ და „პრაქტიკული კურსი სპეციალიზებულ ლექსიკოგრაფიაში“. პრაქტიკული კურსების მიზანია, სტუდენტს გამოუმუშაოს სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები: პრაქტიკული კურსების შესწავლის შედეგად სტუდენტი ახერხებს ორენოვანი, განმარტებითი, სასწავლო, ტერმინოლოგიური და სხვა ტიპის სპეციალიზებული ლექსიკონების სიტყვა-სტატიებზე მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. მოცემული პრაქტიკული კურსები სტუდენტს შეასწავლის ლექსიკონის მართვის სისტემებში, ერთენოვან და პარალელურ კორპუსებთან მუშაობას, მონაცემთა მოდელირებას ელექტრონულ ლექსიკონებში, ლექსიკოგრაფიული მონაცემების შენახვას, ტერმინოლოგიურ ბანკებთან მუშაობას, პარალელური კორპუსიდან ტერმინოლოგიური მასალის ავტომატურ ან ნახევრად ავტომატურ რეჟიმში ამოღების მეთოდებს, ტერმინოლოგიურ მონაცემთა მოდელირებას ელექტრონულ ლექსიკონებში.

მოცემულ პრაქტიკულ კურსებში ჩაშენებულია 12 კვირიანი პრაქტიკა (6 კვირა ზოგადი ლექსიკოგრაფიის პრაქტიკულ კურსში; 6 კვირა სპეციალიზებული ლექსიკოგრაფიის პრაქტიკულ კურსში). პრაქტიკა ხორციელდება ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრში, სულაკაურის გამომცემლობასა და ფინანსთა სამინისტროს აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტში. პარტნიორ დაწესებულებებთან გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და ისინი სტუდენტს გამოუყოფენ ტუტორს, რომლის ხელმძღვანელობითაც წარიმართება პრაქტიკა. პრაქტიკის მიზანია სხვადასხვა ლექსიკოგრაფიულ და კორპუსულ პროექტებში უშუალო მონაწილეობით სტუდენტმა შეძლოს თეორიული ცოდნის რეალურ პროფესიულ გარემოში გადატანა და გამოყენება, რაც დარგში სრულყოფილი აკადემიური განათლების მიღების საშუალებაა. ამასთან, პრაქტიკის დროს სტუდენტები რეალურად ეცნობიან ლექსიკოგრაფიული პროფილის ინსტიტუტებისა და გამომცემლობების მუშაობის სპეციფიკას, მუშაობენ ლექსიკონის პროფესიონალური მართვის სისტემაში, რედაქციას უკეთებენ სიტყვა-სტატიებს და სისტემაში XML-ის ტაგების გამოყენებით ქმნიან ახალ სიტყვა-სტატიებს; მუშაობენ პარალელური კორპუსის პროექტზე, რედაქციას უკეთებენ კორპუსში შეტანილ მონაცემებს, კორპუსში შესატანად არჩევენ ახალ მასალას, აციფრებენ და კორპუსში ტვირთავენ მას; მუშაობენ ცალკეულ სპეციალიზებულ ლექსიკოგრაფიულ პროექტებზე; მუშაობენ რედაქტორებად; ხელს უწყობენ ბუღალტრული, აუდიტორული და ფინანსური ტერმინოლოგიის ონლაინ ლექსიკონის განვითარებას; ჩართულნი არიან ანგარიშების და აუდიტის მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტების და დამხმარე სახელმძღვანელოების თარგმნის პროცესში, არსებული ტერმინოლოგიის ბაზის დამუშავებასა და ტერმინთშემოქმედებაში. პრაქტიკის დროს სტუდენტები ნათლად ხედავენ დარგის განვითარების საჭიროებასა და მიმართულებებს, სამომავლო პერსპექტივებს, რაც მათ სტიმულს მატებს და უმაღლებს ცოდნისა და უნარების შეძენის მოტივაციას. შესაბამისად, პრაქტიკის კომპონენტი ხელს უწყობს სტუდენტის კვლევითი ინტერესების გაღვიძებასა და დარგის განვითარების შესაძლებლობების/საჭიროებების დანახვას, მათ შორის საკუთარი როლისა და შესაძლო ადგილის/ფუნქციის გაცნობიერებას. პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებათა წარმომადგენლებთან ადგილზე

ჩატარებულმა ინტერვიუმ ცხადყო პრაქტიკული კომპონენტის დიდი მნიშვნელობა, მათ შორის, სამომავლო დასაქმების პერსპექტივითაც. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ სამომავლოდ იგეგმება პრაქტიკის არეალის გაფართოება, თანამშრომლობა ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობასთან, სხვადასხვა დარგის სამინისტროებთან და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, ერთ-ერთ დამსაქმებელ-თან ინტერვიუმ კი სახელმწიფო ენის სტრატეგიის კუთხით პროგრამასთან თანამშრომ-ლობის დიდ მნიშვნელობასა და სამომავლო პერსპექტივებს გაუსვა ხაზი.

პროგრამა სტუდენტთა კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული, ძირითადი სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტები სხვადასხვა პროექტებზე მუშაობენ და ლექსიკოგრაფიის დარგში კვლევისთვის საჭირო უნარებს ეუფლებიან. მეოთხე სემესტრში, პროგრამაში ჩართული ლექტორების - დარგის წამყვანი წარმომადგენლების - ხელმძღვანელობით, სტუდენტები განსაზღვრული გეგმის მიხედვით ასრულებენ კვლევას, რაც მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და კვლევის შედეგების ანალიზს მოიცავს.

სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომს ირჩევს საკუთარი კვლევითი ინტერესებისა და ხელმძღვანელთა მიერ შეთავაზებული თემების შეჯერების საფუძველზე. ხელმძღვანელის არჩევისას სტუდენტი საკვლევი სფეროსა და კვლევითი ინტერესების თანხვედრის პრინციპით ხელმძღვანელობს. ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი) რეგულარულად ხვდება სტუდენტს სამაგისტრო თემაზე მუშაობის პროცესში. აკადემიურ პერსონალთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ შეხვედრების ინტენსივობა შეიძლება ვარირებდეს სტუდენტის საჭიროებებისა და კვლევის ეტაპის მიხედვით, რაც სავსებით კანონზომიერია, და რომ კვლევის არცერთი ეტაპი არ რჩება ხელმძღვანელის ყურადღების გარეშე, რის მტკიცებულებასაც, ინტერვიუს შედეგებთან ერთად, წარმოადგენს სამაგისტრო კვლევის კონცეფცია, რომელიც მკაფიო დროის ხაზს, შეფასების პროცედურებსა და კრიტერიუმებს მოიცავს (შეფასების კომპონენტთან დაკავშირებით იხ. ექსპერთა დასკვნა 2.6 ქვესტანდარტისთვის). ვიზიტის დროს გაირკვა, რომ დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი (გადმოგზავნილ სამაგისტრო კონცეფციაში მითითებული იყო სამაგისტრო ნაშრომის პროგრესის საანგარიშო ფორმა), რომელიც კონცეფციის განახლებულ ვერსიაში ამოღებულია. ახალი ვერსია გადმოიგზავნა ვიზიტის დღესვე.

სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარების მხრივ განსაკუთრებული როლი ენიჭება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ „ლექსი-კოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრს“, რომლის დირექტორი ამავდროულად სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელია. ცენტრის საქმიანობაში შედის პრაქტიკულ ლექსიკოგრაფიულ პროექტებზე მუშაობა და სამეცნიერო კვლევების წარმოება; მისი წარმომადგენლები დარგის წამყვანი სპეციალისტები არიან, რეგულარულად აქვეყნებენ სტატიებს ადგილობრივ და საერთაშორისო (იმპაქტ ფაქტორის მქონე) ჟურნალებში, მონაწი-ლეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. ვიზიტის დროს კომისია ცენტ-რის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროექტს და მათი მართვის მექანიზმებს გაეცნო.

ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა სამომავლო აქტიური ჩართულობა ცენტრის საქმიანობაში მათი სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ზრდასა და პროგრამის წარმატებას უზრუნველყოფს. როგორც ვიზიტის შედეგებმა აჩვენა, ცენტრს უკვე აქვს სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებთან აქტიური და წარმატებული თანამშრომ-ლობის გამოცდილება, რაც კიდევ უფრო გაღრმავდება და მეტ მნიშვნელობას შეიძენს უშუალოდ ლექსიკოგრაფიის სპეციალობის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში

ჩართვის შედეგად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია; ○ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები (სულაკაურის გამომცემლობა; ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური); ○ ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პროგრამის თანამშრომლობა ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრთან
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდები სტუდენტზე ორიენტირებულია, სრულ შესაბამისობაშია სწავლების საფეხურთან, სასწავლო კურსების შინაარსთან და სტრუქტურასთან, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება მიმდინარეობს ლექციების, სემინარების, პრაქტიკული მუშაობის ფორმატში. სასწავლო კურსებში გამოყენებული მეთოდები მორგებულია სასწავლო კურსის მიზნებსა და შედეგებს. პროგრამის ერთ-ერთი გარე შემფასებელი განსაკუთრებული მოწონებით აღნიშნავს სწავლების ინტერაქტიურ ხასიათს (ლექცია-სემინარებს, დისკუსია/დებატებს), რაც, მისი აზრით, სტუდენტებს დამოუკიდებელი და კრიტიკული ხედვის ჩამოყალიბებაში ეხმარება. მსგავსი მიდგომა სწავლა-სწავლების პროცესში სტუდენტთა მუდმივ ჩართულობას უზრუნველყოფს. პროგრამა შემდეგ სწავლა-სწავლების მეთოდებს იყენებს: • ინტერაქციული ლექციები და სემინარები; • ანალიზი და სინთეზი; • საკვლევი პროექტები;

- დისკუსია/დებატები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ცალკეული შემთხვევის ანალიზის მეთოდი (Case Study);
- ინდივიდუალური მუშაობა;
- პრაქტიკული მუშაობის მეთოდი და სხვა.

სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდები სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საშუალებას იძლევა. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ სტუდენტთა განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების, აგრეთვე, საგანმანათ-ლებლო პროცესში შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაც. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდნენ აკადემიური წერის ცენტრის ინსტრუქტორთან და ინდივიდუალური შეხვედრის რეჟიმში მიიღონ საჭირო რჩევა და უკუკავშირი წერილობითი ნაშრომის შესახებ.

ინდივიდუალური გეგმა სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობასაც ითვალისწინებს. სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულია უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული - „ბავშვის განვითარების ინსტიტუტი“.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დანერგილი სწავლა/სწავლების მეთოდების მოქნილობა და ეფექტიანობა განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა პანდემიის პერიოდში საწყისი ეტაპის სირთულეების დაძლევისას. როგორც მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებმა და ინტერვიუებმა აჩვენა, საყოველთაო კრიზისის დროს უნივერსიტეტმა მოახერხა სწრაფი რეაგირება, საწყისი ხარვეზების დაძლევა და ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროგრამის განხორციელება სწავლის სფეროსათვის რელევანტური სწავლების მეთოდებით ისე, რომ ამას პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ცვლილება არ გამოუწვევია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი https://iliauni.edu.ge/uploads/other/62/62288.pdf;
- სასწავლო კურსების შეფასების მექანიზმი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- მომიჯნავე სფეროს კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტი https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/institutebi-451/bavshvis-ganvitarebis-instituti.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. იგი სრულ შესატყვისობაშია შიდა (საუნივერსიტეტო) და გარე რეგულაციებთან (საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი) და ოთხ მთავარ პრინციპს ეფუძნება: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა. 100-ქულიან შეფასების სისტემაში ქულები შემდეგნაირად გადანაწილდება: (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რაც სტუდენტთა ცოდნისა და უნარების გაზომვის გზით სასწავლო კურსში განსაზღვრული სწავლების შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. სასწავლო კურსი ფასდება მინიმუმ სამი კომპონენტით (შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება). შუალედური შეფასება სასწავლო კურსით განხორციელებული აქტივობების თანმდევი კომპონენტია, იგი ყოველი კურსის სილაბუსში კარგად გაწერილია, კურსის საჭიროებებზე მორგებული და საშუალებას აძლევს ლექტორს, სტუდენტის პროგრესის მუდმივი მონიტორინგი აწარმოოს. შეფასების თანმდევი ნაწილია უკუკავშირი, რაც ძალზე ეხმარება სტუდენტს სწავლის შედეგის მიღწევაში და შუალედური შეფასების მაფორმირებელ ხასიათს განაპირობებს. შუალედური და დასკვნითი შეფასებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვარი. დასკვნითი შეფასებისთვის ეს ზღვარი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%-ს. ხოლო დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი არ აღემატება 30

ქულას.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ითვალისწინებს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პრინციპებს. როგორც სამაგისტრო ნაშრომი, ასევე სასწავლო კურსებში განხორციელებული საკვლევი პროექტები Turnitin-ის პროგრამის მეშვეობით მოწმდება პლაგიატზე. როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუმ აჩვენა, სამაგისტრო ნაშრომისთვის განსაზღვრულია ციტირების ზღვარი, რომელიც უდრის 10 პროცენტს.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 51-დან 100 ქულამდე დაგროვება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებია: ხელმძღვანელის შეფასება (მაქსიმუმ - 40 ქულა); რეცენზენტის შეფასება (მაქსიმუმ - 35 ქულა); სამაგისტრო ნაშრომის დაცვა (მაქსიმუმ- 25 ქულა).

სტუდენტს სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისთანავე შეუძლია გაეცნოს სილაბუსებსა და სამაგისტრო შრომის კონცეფციას „არგუსის“ მეშვეობით, ამასთან, ლექტორი სასწავლო კურსის პირველივე შეხვედრაზე აცნობს სტუდენტებს სილაბუსსა და შეფასების სქემას, რომელიც კონკრეტული კურსის სპეციფიკის, შინაარსისა და მიზნებისაგან გამომდინარეობს.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას შეფასების თაობაზე სტუდენტებთან აკადემიური და მოწვეული პერსონალის უკუკავშირი ხორციელდება ელექტრონული სისტემა „არგუსისა“ და ინდივიდუალური საკონსულტაციო საათების მეშვეობით. მომიჯნავე სპეციალობის კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ხაზგასმით აღინიშნა მსგავსი უკუკავშირის ეფექტიანობა.

უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების პროცედურები, რომელთა თანახმადაც სტუდენტს შეუძლია, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, ფაკულტეტს საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს კომისიის შექმნის და შესაბამისი პროცედურის ინიციირების მიზნით.

ლექტორისთვის ხელმისაწვდომია: ა) სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, რომლებშიც, მრავალ სხვა კომპონენტთან ერთად, შეფასების სისტემის ეფექტიანობაა განსაზღვრული; ბ) ელექტრონული სისტემა „არგუსის“ მიერ ავტომატურ რეჟიმში გაანალიზებული სტუდენტთა შეფასების შედეგები. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ლექტორს შეუძლია გადახედოს შეფასების სისტემას და საჭიროების შემთხვევაში, გააუმჯობესოს იგი. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისაგანაც სათანადო მხარდაჭერას და კონსულტაციებს იღებს შეფასების სისტემის დახვეწის და გაუმჯობესების კუთხით. დამატებით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს „აკადემიური პერსონალის და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი“, რომელიც პერსონალს სთავაზობს საუკეთესო ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებულ ტრენინგ-მოდულებს (ამ საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა 4.2 ქვესტანდარტისთვის). პროგრამაში ჩართულ პროფესორთა ნაწილს გავლილი აქვს ტრენინგები სწავლების და შეფასების თანამედროვე, ინტერაქტიურ მეთოდებთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“ https://argus.iliauni.edu.ge/;

- სისტემები https://elearning.iliauni.edu.ge/ და https://turnitin.com/;
- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- სტუდენტების კვლევის ანგარიში;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი;
- აკადემიური პერსონალის და მასწავლებლების განვითარების ცენტრის დებულება (TSDC);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების“ პროგრამა ახალია და ჯერჯერობით არ ჰყავს სტუდენტები, თუმცა აკრედიტაციის ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა, შეხვედროდა მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, რათა მიეღო ინფორმაცია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების მომსახურების მიმართულებით დანერგილი პრაქტიკის შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სამაგისტრო პროგრამის პოტენციურ სტუდენტს ექნება შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიურ მიღწევებზე, სწავლის შედეგებსა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე. როგორც უკვე აღინიშნა, „ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების“ პროგრამას ჯერჯერობით არ ჰყავს სტუდენტი. თვითშეფასების ჯგუფმა არ ჩათვალა საჭიროდ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები ჩაერთო თვითშეფასების დოკუმენტის შექმნის პროცესში, თუმცა ფაკულტეტის საბჭოში წარმოდგენილია სამი სტუდენტი, რომლებმაც საბოლოოდ შეაფასეს თვითშეფასების დოკუმენტი და, გარდა ამისა, თვითშეფასების ჯგუფმა გაითვალისწინა სტუდენტთა გამოკითხვების შედეგებიც. ინტერვიუს პროცესში გაირკვა, რომ უნივერსიტეტში ჩარიცხვისას რესპოდენტ სტუდენტებს არ ჰქონიათ ღია კარის დღე, თუმცა ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ისინი მანამდეც სწავლობდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და უკვე მეტ-ნაკლებად იცნობდნენ

სწავლების სტრუქტურას და მათთვის ღია კარის ჩატარების აუცილებლობა არ არსებობდა როგორც უკვე აღინიშნა, მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის ადმინისტრაცია გეგმავს ღია კარის დღის და სხვა სახის საინფორმაციო კამპანიის ორგანიზებას პროგრამის პოტენციური სტუდენტებისთვის (იხ. ექსპერტთა დასკვნა 2.1. სტანდარტისთვის).

სტუდენტთა განცხადებით, ადმინისტრაცია ოპერატიულად ახერხებს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ხოლო აკადემიური პერსონალი - უკუკავშირის მიცემას. ლექტორთა დატვირთვაში კონსულტაციის საათებიცაა გამოყოფილი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ კონკრეტულ საგანში პრობლემის შექმნის შემთხვევაში მიმართონ. მათი თქმით, ლექტორები ყოველთვის მზად არიან დაეხმარონ პრობლემის მოგვარებაში. ლექტორთა საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია თითოეულ სილაბუსში, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს შეუძლიათ წინასწარ შეუთანხმონ საკონსულტაციო საათები. პრობლემის შექმნის შემთხვევაში, სტუდენტები უკავშირდებიან კოორდინატორს, რომელიც მათ კონსულტირებას უწევს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან ამისამართებს.

უნივერსიტეტში კარიერის განვითარების მხრივ მოქმედებს სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, რომელიც სტუდენტთა დასაქმებას უწყობს ხელს. უსდ ყოველწლიურად მართავს მარი ბურდულის სახელობის დასაქმების ფორუმს.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ საერთაშორისო მობილობითა და გაცვლითი პროექტებით, მათ შორის Erasmus+ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამით. თუმცა, გამოკითხულ სტუდენტთაგან საერთაშორისო მობილობით არც ერთს არ უსარგებლია.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია სტუდენტური კლუბები, თუმცა ინტერვიუს მონაწილე არც ერთი სტუდენტი არ იყო ჩართული მსგავს აქტივობაში. შესაბამისად, სასურველია, სტუდენტების ინფორმირებულობის ზრდა მიმდინარე სტუდენტური აქტივობების შესახებ.

უნივერსიტეტში ასევე ტარდება ტრენინგები და სტაჟირებები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია ყოველწლიური შიდა დაფინანსების სისტემაც, აქვს აგრეთვე სულხან-საბას პრემია, პასკალის პრემია, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდა მკვლევრები ფინანსდებიან. თუმცა, როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, უმჯობესი იქნებოდა კვლევით პროექტებში უფრო აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართულნი. აღსანიშნავია, რომ კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობა გათვალისწინებულია „ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების“ სამაგისტრო პროგრამაში (ამ საკითხის შესახებ დეტალურად იხ. ექსპერტთა დასკვნა 2.2 და 2.4 სტანდარტებისთვის).

ზოგადი კმაყოფილების დასადგენად უნივერსიტეტში სტუდენტები ხშირად ავსებენ შესაბამის კითხვარებს, რომელთა შედეგებსაც ფაკულტეტი სრულად ითვალისწინებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სილაბუსები;
- სტუდენტური სერვისების მიწოდების, შეფასების და ანგარიშგების წესი;
- კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშემწყობი საუნივერსიტეტო პროექტები;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება;
- აკადემიური წერის ცენტრის დებულება;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, სტუდენტების ინფორმირებულობის ზრდა მიმდინარე სტუდენტური აქტივობების შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მაგისტრანტთა ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება მოხდა თვითშეფასების ანგარიშის, შესაბამისი დოკუმენტებისა და „ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების“ სამაგისტრო პროგრამის მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად. მათი ჰყავთ/ ჰყავდათ ხელმძღვანელები, რომლებიც გამოირჩევიან კარგი კომუნიკაციით და სტუდენტებს მაქსიმალურად უთავსებენ გრაფიკს. სტუდენტებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია ხელმძღვანელთან სამაგისტრო თემაზე მუშაობის პროცესში და მასთან კომუნიკაცია/კონსულტაცია არ წარმოადგენს პრობლემას, რაც პანდემიის პერიოდში ხდებოდა ძირითადად დისტანციური კომუნიკაციის ფორმატში, კერძოდ, პლატფორმა ,,არგუსის'' მეშვეობით. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, რაც ასევე დასტურდება აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით და მათი კვლევითი ან/და პრაქტიკული საქმიანობით (აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ იხ. აგრეთვე ექსპერტთა დასკვნა 4.1 სტანდარტისთვის). სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევა მაგისტრანტისა და მისი ხელმძღვანელის შეთანხმების საფუძველზე ხდება. თემის არჩევისას გათვალისწინებულია სტუდენტის შემოქმედებითი ინტერესები და ინდივიდუალური მონაცემები. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში მაგისტრანტი სისტემატურ კონსულტაციას იღებს ხელმძღვანელისგან, თუმცა ინდივიდუალური მიდგომის გამო, ხელმძღვანელთა თქმით, ზოგიერთი სტუდენტისთვის შესაძლოა შედარებით მეტი დროის დათმობა მოუწიოთ. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს აკადემიური ან მოწვეული პერსონალი. თითოეულ ხელმძღვანელს შეუძლია მაქსიმუმ 3 სტუდენტის ხელმძღვანელობა. მაგისტრანტები სარგებლობენ უნივერსიტეტის მატერიალური ბაზით, ბიბლიოთეკით და სხვა რესურსებით. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს შესაბამისი მასალით ნაშრომის ხელმძღვანელებიც უზრუნველყოფენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები, პირადი საქმეები; ○ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
• პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; • პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვ-რული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმე-დებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი

უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ "ლექსიკოგ-რაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების" სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია საქართველოს კანონმდებლობის და შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების ანალიზმა დაადასტურა, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას. რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, მათ აქვთ განხორციელებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების შესაბამისი განათლება, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი, აგრეთვე პროფესიული გამოცდილება. გარდა ამისა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვთ შესაბამისი პროფილის ნაშრომები: მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები საერთაშორისო აღიარების მქონე რეფერირებად ჟურნალებში, სხვადასხვა პროფილის ლექსიკონები და სხვ. მაგისტრანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებად განსაზღვრულ პირებს ასევე აქვთ ლექსიკოგრაფიის მიმართულებით მრავალფეროვანი სამეცნიერო თემატიკის ნაშრომების ხელმძღვანელობისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება.

შთამბეჭდავია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები ბოლო ხუთ წელიწადში: ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 55, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 43, ადგილობრივ კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები - 22, საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები - 69 და სხვ.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ლექტორები განეკუთვნებიან ქართველი მკვლევარების იმ ჯგუფს, რომლებსაც აქვთ ღირებული და, შეიძლება ითქვას, უნიკალური პროფესიული გამოცდილება საქართველოში ელექტრონული ლექსიკოგრაფიის მიმართულებით. ლექსიკოგრაფიის მიმართულების პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ უნდა ჩაითვალოს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამაგისტრო პროგრამა განხორციელდება ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრთან თანამშრომლობით (ფაქტობრივად, მის ბაზაზე). მაგისტრანტებს საშუალება ექნებათ, ჩაერთონ ცენტრის მრავალფეროვან პროგრამებსა და პროექტებში და განავითარონ როგორც კვლევითი, ისე პრაქტიკული უნარები. გარდა ამისა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ლექსიკოგრაფიის ევროპული სამაგისტრო პროგრამა EMLex-ს ასოცირებული წევრი, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი აღნიშნული პროგრამის საერთაშორისო კონსორციუმის ხარისხის კომიტეტის წევრია. უნივერსიტეტში დაფუძნებული ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრის საქმიანობა და თანამშრომლობა ლექსიკოგრაფიის ევროპული სამაგისტრო პროგრამა EMLex-თან სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ასევე ერთ-ერთ ძლიერ მხარედ უნდა მივიჩნიოთ.

როგორც ინტერვიუების დროს გაირკვა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი შეუერთდა

EMLex-ის საერთაშორისო კონსორციუმს, რომელსაც გაკეთებული აქვს საგრანტო განაცხადი, რათა მოიპოვოს ევროკომისიის დაფინანსება Erasmus Mundus-ის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად, რომლის ფარგლებშიც მოხდება ე.წ. double/multiple აკადემიური ხარისხის მინიჭება (იხ. ანალოგიური, უკვე დაფინანსებული პროგრამების ჩამონათვალი:https://www.eacea.ec.europa.eu/scholarships/erasmus-mundus-catalogue_en?page=0). ამ ტიპის ერთობლივი პროგრამები ცალსახად უნდა ჩავთვალოთ პრიორიტეტულ მიმართულებად არა მხოლოდ ერთი კონკრეტული უნივერსიტეტის, არამედ ქვეყნის უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის გასაძლიერებლად. ამისდა მიუხედავად, დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში პროგრამას შეიძლება შეექმნას გარკვეული პრობლემები მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხთან და ერთობლივი პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ხელშეკრულების ფორმატთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს დაწესებულებას, რომ მჭიდროდ ითანამშრომლოს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასთან, რათა აღმოიფხვრას საკანონმდებლო დონეზე არსებული ბარიერები ერაზმუს მუნდუსის ერთობლივ პროგრამებთან, ე.წ. European Master/ევროპული მაგისტრის ხარისხთან მიმართებაში, რაც სასურველია შეეხებოდეს როგორც მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს, ისე პარტნიორებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმატს და შინაარს.

“ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების” სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემის განახლება ხდება სემესტრულად და მასში გათვალისწინებულია როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-კვლევითი და სხვა სახის აქტივობები.

“ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების” სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 პირი, მათგან 5 აკადემიური პერსონალია, ხოლო 8 - მოწვეული (მათ შორის ერთი - უცხოელი). ძირითადი და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა შეიძლება მივიჩნიოთ კარგ წინაპირობად ხარისხიანი განათლებისა და პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ვინაიდან პროგრამა ახალია, პერსონალის დენადობის დადგენა ამ ეტაპზე ვერ მოხდება. პროგრამის პოტენციური სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან სხვადასხვა ტიპის ეფექტიანი კონსულტაციით, რის შესახებაც უფრო დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია აკრედიტაციის მესამე სტანდარტის შეფასებისას.

“ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების” სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს აქვს როგორც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დარგობრივი, პროფესიული ცოდნა, ისე მრავალწლიანი ადმინისტრაციული გამოცდილება და აქტიური საერთაშორისო კონტაქტები, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ეფექტიან ფუნქციონირებას და განვითარებას როგორც აკადემიური, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით. ინტერვიუებმა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან ცხადყო, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან აქტიური თანამშრომლობით ეფექტიანი კოორდინირება გაუწია პროგრამის შემუშავების პროცესს და უზრუნველყო მისი კონცეპტუალური გამართულობა და ინტერნაციონალიზაციის ძლიერი კომპონენტი.

“ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების” სამაგისტრო პროგრამის ტექნიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ადმინისტრაცია.

კერძოდ, დეკანი, დეკანის თანაშემწე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სტუდენტთა კოორდინაციის სამსახური და საქმის წარმოების და ფინანსური სამსახურები და სხვ. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებითა და სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტით.

როგორც მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ინტერვიუებიდან დადგინდა, სასწავლო პროცესი ეფექტურად იმართება ელექტრონული სისტემა „არგუსის“ მეშვეობით, რომლის გამართულ მუშაობაზეც პასუხისმგებელია ტექნოლოგიების დეპარტამენტი. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი სტუდენტებს უწევს დროულ, კვალიფიციურ და ეფექტურ მომსახურებას, ტექნიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ პროგრამა აერთიანებს მაღალი კვალიფიკაციის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, რომელთა საქმიანობა მხარდაჭერილია მოქნილი და ეფექტიანი ადმინისტრაციული სტრუქტურების მიერ, რაც არც თუ ხშირად გვხვდება საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში. უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკა (ძლიერი კადრების მოძიება და მათი უზრუნველყოფა კომფორტული სამუშაო პირობებით), აგრეთვე ინტერნაციონალიზაციის და კვლევების განვითარებისთვის აუცილებელი ინსტიტუციური მხარდაჭერის მექანიზმები ექსპერტთა ჯგუფმა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დანერგილ საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ფუნქციები/სამუშაო აღწერილობები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულების ნიმუშები;
- სტუდენტებთან და პერსონალთან დაკავშირებული სტატისტიკური მაჩვენებლები;
- აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები;
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;
- პროგრამის ხელმძღვანელების და სამუშაო ჯგუფების საქმიანობის წესი;
- ინტერვიუ აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასთან, რათა აღმოიფხვრას საკანონმდებლო დონეზე არსებული ბარიერები ერაზმუს მუნდუსის ერთობლივ პროგრამებთან, ე.წ. European Master/ევროპული მაგისტრის ხარისხთან მიმართებაში, რაც სასურველია შეეხებოდეს როგორც მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს, ისე პარტნიორებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმატს და შინაარს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- უნივერსიტეტში დაფუძნებული ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრის საქმიანობა და თანამშრომლობა ლექსიკოგრაფიის ევროპულ სამაგისტრო პროგრამა EMLex-თან;
- ლექსიკოგრაფიის მიმართულების პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია;
- უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკა (ძლიერი კადრების მოძიება და მათი უზრუნველყოფა კომფორტული სამუშაო პირობებით);
- უნივერსიტეტში დანერგილი ინტერნაციონალიზაციის და კვლევების განვითარებისთვის აუცილებელი ინსტიტუციური მხარდაჭერის მექანიზმები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
• დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; • უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მოქმედებს აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას და მისი შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პერსონალის პროფესიული განვითარების, წახალისებისა და დაწინაურებისთვის. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება ხდება როგორც სტუდენტების გამოკითხვით, ისე თავად პერსონალის თვითშეფასების კითხვარით, რომელიც გულისხმობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის სხვადასხვა კომპონენტების ქულობრივ შეფასებას, რაც მათ ეხმარება პროფესიული განვითარების სხვადასხვა ასპექტების უკეთ გააზრებასა და შემდგომ წინსვლაში. შეფასების შედეგების პრეზენტაცია და განხილვა ხდება სხვადასხვა სახის ღია თუ დახურულ შეხვედრებსა და ღონისძიებებზე. სამეცნიერო კვლევების შეფასებასა და განვითარებას ემსახურება პასკალისა და სულხან-საბას პრემიებიც, რომლებიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა დააწესა. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს პერსონალის კმაყოფილების კვლევასაც. ერთ-ერთ ინტერვიუზე რესპოდენტმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი გამოკითხვის შედეგების კვალობაზე ადმინისტრაციამ პერსონალს მოუმატა ხელფასები, რითიც ხელი შეუწყო მათი მოტივაციის ზრდას და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მიმართ პერსონალის დამოკიდებულების გაუმჯობესებას. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ორიენტირებულია პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. კერძოდ, გათვალისწინებულია სისტემურად, რეგულარულად და ეფექტურად, თანამშრომელთა საჭიროებების შესაბამისად მოქმედი ტრენინგის სისტემის და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნა სწავლებაში ჩართული უნივერსიტეტის პერსონალისათვის. ამ მიზნებისთვის უნივერსიტეტში შეიქმნა აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდულების შეთავაზებას. აღნიშნული ცენტრი დაარსდა ERASMUS+ პროექტ PRINTeL-ის მხარდაჭერით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სხვადასხვა

სახის (მატერიალური, ფინანსური და სხვ.) მხარდაჭერას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის განსახორციელებლად. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო, ინსტიტუციური განვითარების გრანტები, განვითარების სამსახური დაფინანსების წყაროების საიდენტიფიკაციოდ და მოსაზიდად, აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა, საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობები და სხვ. როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხი არის მაღალი და პერსონალი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სახის საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში. სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის მისაღწევად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ეფექტიანად იყენებს არსებულ საერთაშორისო კონტაქტებს შესაბამისი პროფილის წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები; ○ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ფუნქციები/სამუშაო აღწერილობები; ○ განვითარების სამსახურის დებულება; ○ სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება; ○ აკადემიური პერსონალის და მასწავლებლების განვითარების ცენტრის დებულება; ○ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი; ○ კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი; ○ აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; ○ სერვისებთან დაკავშირებით პერსონალის კვლევის ანგარიში; ○ მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შეფასების კვლევის ან-გა-რიში; ○ ERASMUS+ პროექტის PRINTeL-ის აღწრილობა; ○ ინტერვიუ აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

"ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების" სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია მისი მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რაც მოიცავს სააუდიტორიო ფონდს, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას, საინფორმაციო კომპიუტერულ ცენტრს, სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელ „არგუსს", პლაგიატის დეტექტიის პლატფორმა Turnitin-ს, ელექტრონული სწავლების პორტალს/E-learning და სხვ. სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს აგრეთვე პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები.

"ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების" სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს აგრეთვე: უნივერსიტეტის მულტიმედია ბიბლიოთეკა, ბოლო წლების განმავლობაში უნივერსიტეტში შექმნილი მონაცემთა ბაზები პროსოპოგრაფიის, ეპიგრაფიკისა და კორპუსის ენათმეცნიერების მიმართულებით, ლინგ-ვისტურ კვლევათა ინსტიტუტი, უნილაბი, პროსოპოგრაფიული ბაზა, ეპიგრაფიკული კორპუსი, ქართული ენის კორპუსი და სხვ. რესურსები. დაბოლოს, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, სამაგისტრო პროგრამა გამოიყენებს უნივერსიტეტში დაფუძნებული ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრისა და ლექსიკოგრაფიის ევროპუ-ლი სამაგისტრო პროგრამა EMLex-ის მრავალფეროვან და ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის უნიკალურ საგანმანათლებლო, საბიბლიოთეკო და ტექნოლოგიურ რესურსებს.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია როგორც სილაბუსების სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული უახლესი და თანამედროვე სავალდებულო ლიტერატურა, ისე მაგისტრანტების სამეცნიერო-კვლევითი პროფილის შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, რიდერები და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საერთაშორისო ელექტრონული ბაზები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს წვდომა საერთაშორისო ბაზებზე: Clarivate Analytics, ScienceDirect, Scopus, ProQuest, EBSCO, Jstor, Cambridge Journals, Taylor and Francis, Sage Publishing და სხვ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ტექნიკური მხარდაჭერა, რასაც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უწევს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს რიდერების მომზადების პროცესში.

პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან, მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზემოთ აღნიშნული რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტების, ისე პროფესორებისა და მოწვეული ლექტორებისთვის და ყველა მხარე არა მხოლოდ იცნობს მათი გამოყენების შესაძლებლობებსა და მოხმარების წესებს, არამედ აქტიურად იყენებს კიდეც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი" http://argus.iliauni.edu.ge/;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები: http://library.iliauni.edu.ge/;
- ელექტრონული სწავლების პორტალი: http://moodle.iliauni.edu.ge/;
- საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები;
- ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრის დებულება;
- ინტერვიუ აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი "ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების" სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში და ეკონომიკურად მიღწევადია, ვინაიდან უნივერ-სიტეტი საკუთარი ბიუჯეტითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროგრამის გრძელვადიან მხარდაჭერას, კერძოდ: პროგრამის სასწავლო პროცესს სრულად უზრუნველყოფს ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთა სახელფასო ხარჯი გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტში და კონკრეტული სამაგისტრო პროგრამა დამატებით ხარჯებს არ საჭიროებს. უნივერსიტეტში მოქმედებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი, რომლის შესაბამისადაც უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხა აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის. პროგრამა ხორციელდება ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრის ბაზაზე და აგრეთვე იყენებს ლიგვისტურ კვლევათა ცენტრის რესურსებს. პროგრამის სასწავლო და კვლევითი პროექტების ციფრული მხარდაჭერის და მონაცემთა ბაზებით უზრუნველყოფის ხარჯი გაწერილია ლექსიკოგრაფიისა და ლინგვისტურ კვლევათა ცენტრების ბიუჯეტებში. პროგრამის სასწავლო და კვლევითი პროექტების ციფრული მხარდაჭერის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განახლებისა და მოვლა-შენახვისთვის საჭირო ხარჯი ფინანსდება როგორც უნივერსიტეტის ცენტრალური და საფაკულტეტო ბიუჯეტიდან, ასევე პერი-ოდულად, ადგილობრივი და საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტების ბიუჯეტებიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ბიუჯეტი;

○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში ხარისხის მართვას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც აერთიანებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (ცენტრალური ოფისი) და ფაკულტეტზე შექმნილ ხარისხის უზრულველყოფის სამსახურებს, რომლებიც მოქმედებენ შემდეგ ძირითად დოკუმენტებზე დაყრდნობით: ○ <u>შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია</u> - აღწერს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტს, მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობის და პროგრამების შიდა ხარისხის

უზრუნველყოფის პროცესების სისტემატური კვლევის რუკას და კვლევების დროის ჩარჩოს.

- „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“ - არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა პროგრამის შემუშავება და დაგეგმვა, პროგრამაში ცვლილებების შეტანა, პროგრამის გაუქმება და სხვ. დოკუმენტის თანახმად, პროგრამის შემუშავებაში აკადემიურ პერსონალთან ერთად უნდა იყვნენ ჩართულნი დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები (არსებობის შემთხვევაში), ადმინისტრაციული პერსონალი (მათ შორის, ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სხვ.). პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს უნივერსიტეტში დადგენილ პროგრამის შეფასების კრიტერიუმებს, ასევე, უნდა იყოს გათვალისწინებული უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები, გარე პარტნიორებთან კონსულტაციების შედეგები, შრომის ბაზრის მოთხოვნები, დარგის სპეციფიკა, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკები.
- „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი“ - ადგენს მოთხოვნებს სამაგისტრო პროგრამისადმი და სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელისადმი, პროგრამაზე მიღების წესს და პირობებს, პროგრამის მოცულობას, ზოგად მიზნებს, სტრუქტურას და სხვ. მითითებულ დოკუმენტთან დაკავშირებით, ვიზიტის დროს, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იყო დაშვებული ტექნიკური ხარვეზი (გამოგზავნილია ძალადაკარგული დოკუმენტი) და დღეისათვის მოქმედებს დოკუმენტის განახლებული ვერსია (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 25 ივნისის N5 სხდომის გადაწყვეტილებით), რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (https://iliauni.edu.ge/uploads/other/62/62288.pdf) (აღნიშნული საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე ექსპერტთა დასკვნა 2.4 სტანდარტისთვის).
- „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“ - ადგენს უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების განხორციელების შეფასების გარე და შიდა მექანიზმებს. პროგრამების განხორციელების შიდა შეფასების მიზანია, დადგინდეს რამდენად არის შესაბამისობაში პროგრამა დასახულ მიზნებთან და რამდენად პასუხობს ის სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებებსა და მოთხოვნებს. შიდა შეფასების მექანიზმი გულიხსმობს პროგრამის განხორციელების პერიოდულ შეფასებას/მონიტორინგს და მოიცავს როგორც პროგრამის შინაარსის ანალიზსა და რევიზიას მოცემულ დარგში უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით, ისე სხვადასხვა ინფორმაციის ანალიზს, მაგ.: საზოგადოებისა და შრომის ბაზრის საჭიროებები, სტუდენტების აკადემიური მოსწრება, პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, პროგრამიდან განთესვის რაოდენობრივი მონაცემები, სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესების ეფექტურობა, პროგრამასთან მიმართებაში სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინები და საჭიროებები, სასწავლო გარემო, რესურსები, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები, სხვ.
- „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები“ - ადგენს შეფასების თითოეული ასპექტის შეფასების კრიტერიუმებს. დოკუმენტის დანართებია პროგრამის კურიკულუმის და სილაბუსის ქართულ- და ინგლისურენოვანი უნიფიცირებული (სარეკომენდაციო) ფორმები ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის საფეხურებისთვის.

უნივერსიტეტში მოქმედი წესებით, ასევე, განისაზღვრება შიდა შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტები და მეთოდები, მაგ.: სტუდენტთა გამოკითხვა პროგრამით/პროგ-

რამის კომპონენტებით კმაყოფილების შესახებ; კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამით კმაყოფილებისა და დასაქმების შესახებ; დამსაქმებლებისა და პარტნიორების ფოკუს-ჯგუფი/ინტერვიუ/გამოკითხვა პროგრამისა და მისი კურსდამთავრებულების შესახებ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება და სხვ. პროგრამის შეფასების მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევის კონტროლი (პროგრამის სწავლის შედეგებისთვის დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან მიღწეული შედეგების დადარება). პროგრამის შეფასების პროცესში მიღებული მონაცემები ექვემდებარება ანალიზს, რომლის შედეგები აისახება შიდა თვითშეფასების ანგარიშში. შეფასების პროცესის ორგანიზებას და წარმართვას ემსახურება შემუშავებული კონცეფციები და პროტოკოლები, სხვადასხვა ფორმები და კითხვარები.

უნივერსიტეტში მოქმედი წესების გამოყენებაზე დეტალურად ისაუბრეს ინტერვიუში მონაწილე პირებმა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა, ასევე თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა, რომლებმაც აღწერეს აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამის შემუშავების და შეფასების პროცესი, პროგრამის შემუშავების ეტაპები, გამოყენებული სტანდარტები. ასევე, ვიზიტის დროს ექსპერტებებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია პროგრამის შემუშავებაში და შეფასებაში ჩართული პირების, მიღებული შეფასებების, გაზიარებული მიდგომების, პროგრამის გარე და შიდა შესაძლებლობების, დაინტერესებული მხარეების დამოკიდე-ბულებების კვლევის შედეგების შესახებ. ასევე, თვითშეფასების ჯგუფმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს პროგრამის შემუშავებაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მნიშვნელოვანი როლი და მიღებული მაქსიმა-ლური მხარდაჭერა (კონსულტირება, ინფორმირება და სხვ.) და აქტიური ჩართულობა.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით და ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- უნივერსიტეტის როგორც ცენტრალური, ისე ფაკულტეტებზე არსებული სამსახურები მოქმედებენ ერთიანი საუნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და მიდგომების შესაბამისად და ასრულებენ მათთვის განსაზღრულ ფუნქციებს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში დანერგილია უფლებამოსილებების რაციონალურად დელეგირების, უკუკავშირის და გუნდური მუშაობის პრინციპი. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სარგებლობს ავტონომიურობის მაღალი ხარისხით, გააზრებულია მისი საქმიანობის მნიშვნელობა მთლიანად ხარისხის მართვის სისტემის გამართული ფუნქციონირებისა და კოორდინირებული მუშაობისთვის. ავტონომიუ-რობისა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის მაღალ ხარისხზე მეტყველებს, მაგალითად, შემდეგი გარემოება: ყველა ფაკულტეტი უფლებამოსილია შექმნას მონიტორინგისა და კვლევების სამსახური ან შესაბამისი ფუნქცია დაუტოვოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. მიღებული გადაწყვეტილება დამოკიდებულია ფაკულტეტის სპეციფიკაზე და მიმართულია ხარისხის გაძლიერებაზე, რაც შეიძლება საუკეთესო პრაქტიკად ჩაითვალოს. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუს შედეგებით);
- არსებობს პროგრამის განვთარებისა და მხარდაჭერის მკაფიო, არგუმენტირებული ხედვა, რომელიც ეყრდნობა როგორც გარე შესაძლებლობებს, ისე უნივერსიტეტის შიდა პოტენციალისა და შესაძლებლობების რეალისტურ შეფასებას. გააზრებულია პროგრამის ხარისხიანი განხორციელებისთვის პროგრამის სტუდენტთა რაოდენობის მნიშვნელობა -

პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისთვის გათვალისწინებულია პროგრამის სპეციფიკა (საფეხური, შინაარსი, რესურსები და სხვ.) (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, ინტერვიუს შედეგებით); ○ პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეფასების პროცესები არის რელევანტური მარეგულირებელი დოკუმენტებით მოწესრულებული და გამჭვირვალე. წინასწარ განსაზღვრულია შესაფასებელი ასპექტები, შეფასების მექანიზმები. ინსტრუმენტები და პერიოდულობა, ამ პროცესში მონაწილე სუბიექტები, გადაწყვეტილების მიღების წესი და სხვ., რაც ქმნის შეფასების პროცესის გამჭვირვალობის და სისტემატურობის საფუძველს. გამოიყენება პროგრამის კურიკულუმის და სილაბუსების სარეკომენდაციო უნიფიცირებული ფორმები, რაც უზრუნველყოფს ერთგვაროვანი მიდგომების გამოყენებას და ამ დოკუმენტებში მისათითებელი ინფორმაციის სისტემატიზაციას (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, ინტერვიუს შედეგებით); ○ პროგრამის შეფასებას ხელს უწყობს პროგრამისთვის შემუშავებული დოკუმენტები (რუკები, ცხრილები), მაგ.: 1) პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობის რუკა; 2) პროგრამის შედეგების ფორმირების რუკა, რომელიც ასახავს პროგრამის კომპონენტების მონაწილეობას კონკრეტული შედეგის ფორმირებაში და ქმნის პროგრამის შედეგებისა და პროგრამის კომპონენტების კავშირის მკაფიო სურათს; 3) პროგრამის ათვისების დინამიკის დადგენა შესაძლებელია სამიზნე ნიშნულების ცხრილით, სადაც სწავლის თითოეული შედეგის მიღწევისთვის დადგენილია რაოდენობრივი მაჩვენებელი, მისი მიღწევის მეთოდები, შედეგის მიღწევის შემოწმების პერიოდულობა და სხვ. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით). ○ აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების პროცესი იყო კომპლექსური, კოლეგიალური და გამჭვირვალე - სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა პროგრამისთვის მნიშვნელოვანი/საკვანძო საკითხები, საუკეთესო პრაქტიკები, დარგში არსებული ტენდენციები და საჭიროებები. აღსანიშნავია პროგრამის შემუშავების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობის მაღალი ხარისხი. განხორციელდა პროგრამის გარე შეფასება უნივერსიტეტთან არააფილირებული დარგის უცხოელი სპეციალისტების მიერ. თვითშეფასების პროცესში იყო იდენტიფიცირებული აკრედიტაციის თითოეული სტანდარტის ჭრილში პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები და გაუმჯობესებისთვის საჭირო აქტივობები, რაც აისახა თვითშეფასების ანგარიშში. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუს შედეგებით). ○ პროგრამის შემუშავების პროცესის ყველა მონაწილე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მათი მუშაობა იყო აქტიურად მხარდაჭერილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რაც გამოიხატებოდა დროული და ამომწურავი ინფორმირებით და კონსულტირებით. ასევე, ინტერვიუში მონაწილე პირებმა დეტალურად ისაუბრეს უნივერსიტეტში მოქმედ წესებზე და აღნიშნეს უნივერსიტეტში მათი პროფესიული ზრდის და განვითარების შესაძლებლობები (მაგ., ინტერვიუში მონაწილე პირების თქმით, მათთვის ძალიან სასარგებლო იყო სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე შეფასების მეთოდებისა და e-learning-ის თავისებუ-რებების საკითხებზე ჩატარებული ტრეინინგები). ყოველივე ზემოთ აღნიშნული გარემოებების ერთობლიობამ განაპირობა სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“;

- „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“;
- „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“;
- „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები“;
- „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი“ (დამტკიცებულია 2015 წლის 20 ივლისის აკადემიურ საბჭოს N8 სხდომის ოქმით, შესულია ცვლილება 2018 წლის 4 აპრილის N4 აკადემიური საბჭოს ოქმით);
- „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 25 ივნისის N5 სხდომის გადაწყვეტილებით), https://iliauni.edu.ge/uploads/other/62/62288.pdf - დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია ;
- ფაკულტეტის დებულება (იხ. მ. 10 „ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური“);
- „აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი“;
- პროგრამის შედეგების რუკა; სამიზნე ნიშნულების რუკა; პროგრამის მიზნებისა და შე-დე-გე-ბის ურთიერთშესაბამისობის რუკა;
- პერსონალის შეფასების წესები და ფორმები (კანდიდატის/ლექტორის თვითშეფასების ფორმა; აკა-დე-მიური პერსონალის თვითშეფასების ფორმა, აკადემიური პერსონალის საქმანობის შეფასების წესი, სასწავლო პროცესში ჩართულ მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, საჩვენებელი და სემესტრული ლექციების კოლეგიური შეფასების და განვითარების კონცეფცია; ლექცია-ზე/სემინარზე დაკვირვების წინმსწრები ფორმა; ლექციაზე/სემინარზე დაკვირვების პროტოკოლი და მისი დანართები; ლექციაზე/სემინარზე დაკვირვების შემდგომი შეხვედრის პროტოკოლი);
- შეხვედრების ოქმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები;
- პროგრამის შეფასება დამსაქმებელთა მხრიდან;
- პროგრამის შეფასების მიზნით მომიჯნავე სფეროს კურსდამთავრებულთა და მოქმედ სტუდენტთა გამოცდილებების შესწავლა;
- გარე შეფასებების ამსახველი წერილები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (ცენტრალური ოფისის) და თითოეულ ფაკულტეტზე შექმნილი ხარისხის უზრულველყოფის სამსახურების მოქმედება ერთიანი საუნივერსიტეტო პოლიტიკისა და მიდგომების შესაბამისად, გამართული საქმიანობა უფლებამოსილებების სწორი დელეგირების (მათ შორის, ფაკულტეტის ფართო ავტონომიის), აქტიური თანამშრომლობისა და გუნდური მუ-შაო-ბის პრინციპებზე დაყრდნობით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში გარე შეფასება წარმოადგენს პროგრამის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. გარე შეფასების მიზნით შემუშავებული პროგრამა გაეგზავნა დარგის უცხოელ ექსპერტებს, რომლებმაც დადებითად შეაფასეს პროგრამა. ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელმა დეტალურად ისაუბრა გარე შემფასებლების ვინაობის განსაზღვრისა და მათ მიერ პროგრამის შეფასების მნიშვნელობაზე.

გარე შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოყენებულ იქნა პროგრამის შესახებ პოტენციური დამსაქმებლების (5 რესპოდენტი) მოსაზრებების შესწავლა: კვლევა განხორციელდა თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, კვლევის ფარგლებში ასევე დაიგეგმა და ჩატარდა ერთი სიღრმისეული ინტერვიუ. დამსაქმებლები წინასწარ გაეცნენ პროგრამას და შეხვედრაზე გამოთქვეს მასთან დაკავშირებული მოსაზრებები. რესპონდენტებმა დადებითად შეფასეს პროგრამა, ასევე გაამახვილეს ყურადღება დარგის განვითარების აუცილებლობაზე და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადების საჭიროებაზე. აღნიშნული პოზიცია დააფიქსირეს ინტერვიუში მონაწილე დამსაქმებლებმაც, რომლებმაც ასევე დადებითად შეაფასეს პროგრამა და აღნიშნეს მისი აქტუალობა და მნიშვნელობა. დამსაქმებელთა განმარტებით, პროგრამა სრულად პასუხობს დარგში არსებულ საჭიროებებს და ქმნის ყველა აქტუალური კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადების შესაძლებლობას. დამსაქმებელმა აღნიშნეს, რომ დღეს უკვე არსებობს, მომავალში კი - გაიზრდება, ამ სფეროს კვალიფიციური სპეციალისტების საჭიროება და დასაქმების პერსპექტივა. ასევე, ინტერვიუში მონაწილე დამსაქმებლებმა დაადასტურეს პროგრამის გუნდთან მომავალში თანამშრომლობის მზაობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის გარე შეფასება დარგის სპეციალისტების მიერ;
- პროგრამის შეფასება (დამსაქმებელთა ფოკუს-ჯგუფის ანგარიში);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა ახალია და ობიექტური გარემოებების გამო ვერ იქნებოდა გამოყენებული უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული მექანიზმების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ ეტაპზე შეიძლება ზოგადად დადასტურდეს ამ მექანიზმების არსებობის ფაქტი და მოხდეს იმ მექანიზმების აღწერა, რომლებიც აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამისთვის იყო გამოყენებული, კერძოდ:

- პროგრამის პერიოდული შეფასება - კომპლექსური, თანმიმდევრული, გამჭვირვალე და სისტემატური პროცესია. ამ პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებში მკაფიოდ არის განსაზღვრული შეფასების ასპექტები, მექანიზმები და ინსტრუმენტები, ამ პროცესის პერიოდულობა და ანგარიშვალდებულებების სისტემა, ასევე შემუშავებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუქციები და ფორმები.
- სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით, განსაზღვრული პერიოდულობით, ხდება პროგრამის (სწავლა-სწავლების), კვლევის, სერვისების, რესურსების და სხვ. შეფასება, რაც იძლევა მონაცემების შეგროვების, დინამიკაზე დაკვირვების, განვითარების ტენდენციების შესწავლის და გაუმჯობესებაზე მიმართული ქმედებების დაგეგმვის შესაძლებლობას. საანგარიშო პერიოდი მოიცავს ერთ სასწავლო წელს (მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისთვის) და მომდევნო სემესტრს (ანგარიშის წარდგენისა და შესაბამისი ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისთვის). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს პროგრამის შეფასების პროცესზე და აღნიშნეს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, გეგმიური კვლევების გარდა, ტარდება არაგეგმიური კვლევებიც. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს, რომ აუცილებელია უკუკავშირი და შეფასების შედეგების გაცნობა, იგივე დაადასტურეს ინტერვიუში მონაწილე პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, პროგრამის შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტია პროგრამის ათვისების (შედეგების მიღწევის) დადგენა და მიღებული შედეგების შეფასება: შესწავლის შედეგად დადგენილ სამიზნე ნიშნულებსა და მიღწეულ შედეგებს შორის სხვაობა (მეტობა/ნაკლებობა) წარმოადგენს შესწავლის საგანს, მიზეზის დადგენისა და გარკვეული ღონისძიებების (მაგ., პროგრამაში ცვლილებები, მომდევნო პერიოდისთვის კორექტირებული სამიზნე ნიშნულების დადგენა და სხვ.) დაგეგმვისა და განხორციელების საფუძველს.
- უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების კვლევა. თვითშეფასების ანგარიშის დანართებად წარმოდგენილია:

1) საუნივერსიტეტო კვლევები -

- 2020 წელს ჩატარებული გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის შეფასება (მონაწილეობა მიიღო აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა 53%-მა) და შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესის შეფასება (სტუდენტთა საერთო რაოდენობის 77%-მა მიიღო მონაწილეობა). კვლევებისთვის შემუშავებულ იქნა კითხვარი, რომელიც მოიცავდა როგორც დახურულ, ასევე ღია კითხვებს, სადაც რესპონდენტებს შეეძლოთ გამოეხატათ მოსაზრებები როგორც შინაარსობრივ, ისე ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით. რესპონდენტებმა შეაფასეს ონლაინ სივრცეში არსებული სასწავლო გარემო, სასწავლო პროცესის ორგანიზებულობა და ლექტორების საქმიანობა, სასწავლო პროცესში არსებული სირთულეები, სასწავლო პროცესის ხელშემწყობი ფაქტორები და სხვ.;

- 2022 წელს ჩატარებული სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კურსდამთავრებულთა 61%-მა. გამოკითხვისთვის შედგენილი იქნა სატელეფონო კითხვარი, რომელიც ძირითადად შედგებოდა ე.წ. "დახურული კითხვებისგან", სადაც წინასწარ იყო სავარაუდო პასუხები. კითხვარის ბოლოს იყო "ღია კითხვებიც", სადაც რესპონდენტებს შეეძლოთ, ჩამოეყალიბებინათ თავიანთი მოსაზრებები პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეებისა და რეკომენდაციების შესახებ. კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა უნივერსიტეტის კურსდამთავ-რებულთა დასაქმებისა და სამუშაო გამოცდილების შესწავლა;
- 2021 წელს ჩატარდა მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხუ-რის პროგრამით კმაყოფილების კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა 55%-მა. რესპოდენტები აფასებენ მიღებულ განათლებას, არსებულ გარემოს, ლექტორებს, მხარდაჭერის მექანიზმებს და სხვ. რესპოდენტთა 48% სამაგისტრო საფეხურის დასრუ-ლების შემდეგ გეგმავს სწავლის გაგრძელებას შემდგომ საფეხურზე, რესპოდენტთა 78% კი მიიჩნევს, რომ მიღებული განათლება დაეხმარება კარიერულ ზრდაში;
- 2022 წელს ჩატარდა საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტთა დასაქმების კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საბაკალავრო პროგრამების 5531-მა სტუდენტმა (საერთო რაოდენობის 41%) და სამაგისტრო საფეხურის 852-მა სტუდენტმა (საერთო რაოდენობის 42%).

2) აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამის მიზნებისთვის ჩატარებული კვლევები -

- 2022 წელს ჩატარებული მომიჯნავე სფეროს კურსდამთავრებულთა და მოქმედ სტუდენტთა გამოცდილებების შესწავლა, როგორც სასწავლო პროცესის, ისე სამაგისტრო პროგრამის და სხვა კომპონენტების შესახებ. კვლევა განხორციელდა თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, სამიზნე ჯგუფებთან დაიგეგმა და ჩატარდა 2 ფოკუს-ჯგუფი (მონაწილეობა მიიღო 10-მა რესპონდენტმა: 7 - კურსდამთავრებული, 3 - აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი). შეხვედრაში მონაწილე კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ სამაგისტრო საფეხური მოიცავდა პრაქტიკულ დავალებებსა და აქტივობებს, რაც მათ თეორიული მასალის უკეთ ათვისებასა და გაგებაში დაეხმარა. განსაკუთრებით დადებითად აფასებდნენ ლექტორების ჩართულობასა და მხარდაჭერას სხვადასხვა პროექტსა თუ კვლევაზე მუშაობის პროცესში. რესპოდენტთა თქმით, მათთვის მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესიც. რესპონდენტთა ნაწილმა ყურადღება გაამახვილა დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. რესპოდენტთა მიერ შეფასდა ილიაუნის სერვისები და რესურსები და უშუალოდ სამაგისტრო პროგრამა (თითოეული რესპონდენტის მხრიდან პროგრამა დადებითად შეფასდა. მათ მიაჩნიათ, რომ პროგრამა მოიცავს დარგისთვის მნიშვნელოვან საკითხებს). კურსდამთავრებულთა მხრიდან დადებითად შეფასდა პროგრამის ფარგლებში გაწერილი დასაქმების სფეროები და თანამშრომლობა სხვადასხვა დაწესებულებასთან, რაც, რესპონდენტთა აზრით, ხელს შეუწყობს სტუდენტთა დასაქ-მებას პროფესიით. რესპონდენტების ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ტექნოლოგებთან მუშაობის შემთხვევაში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათი აზრის შესწავლა ხდებოდა პერიოდულად, კითხვარები მოიცავდა როგორც კონკრეტულ შეკითხვებს, ისე მოიაზრებდა სტუდენტის მიერ საკუთარი შეხედულებების დაფიქსირების შესაძლებლობას. კითხვაზე: ხდებოდა თუ არა სტუდენტთა მოსაზრებების გათვალისწინება, ინტერვიუში მონაწილე პირმა აღნიშნა,

რომ სტუდენტები ითხოვდნენ „ლინგვოკულტუროლოგიის“ სასწავლო კურსის გავლას, რაც დაკმაყოფილდა.

- 2022 წელს ჩატარებული პროგრამის შეფასება დამსაქმებელთა მხრიდან (კვლევაში მონაწილეობა მიიღო ხუთმა დამსაქმებელმა). რესპონდენტებმა მიიჩნიეს, რომ პროგრამის მიზნები თანხვედრაშია დარგში არსებულ მოთხოვნებთან. მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი კადრის მომზადება, რომელსაც დარგის სიღრმისეულ ცოდნასთან ერთად, ექნება თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების გამოყენების უნარი და აღნიშნეს, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისგან, ტექსტების დამუშავების თანამედროვე კომპიუტერული უნარების ცოდნა გამოარჩევთ. შეხვედრაში მონაწილე დამსაქმებლებმა გამოხატეს სურვილი ითანამშრომლონ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ პერსონალთან.

პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა ისაუბრა პროგრამაზე, მის კომპონენ-ტებზე, პროგრამის განვითარების პერსპერტივებზე. პოტენციურმა დამსაქმებლებმა კი აღნიშნეს პროგრამის აქტუალობა და მათ მიერ პროგრამა დადებითად შეფასდა.

პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ პროგრამის შემუშავებისას იყო გამოყენებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკები, რაც გულისხმობს პროგრამის შესაბამისობას ლექსიკოგრაფიის ევროპულ სამაგისტრო პროგრამასთან EMLex (European Master in Lexicography) https://www.emlex.phil.fau.eu/course/short-description, რომელიც დაარსა 8 უნივერსიტეტის კონსორციუმმა. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, რომელიც თავად არის აღნიშნული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტის წევრი და აქტიურადაა ჩართული სწავლების პროცესში, კონსორციუმთან თანამშრომობის გამოცდილება ასახულია როგორც პროგრამის (მიზნები, შედეგები, შინაარსი), ისე მისი კომპონენტების დონეზე. პროგრამის გუნდმა შეისწავლა მითითებული კონსორციუმის 8 წევრის პროგრამები და დაადგინა მათთან შესაბამისობა. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შემდგომ განვითარებას ხელს შეუწყობს რამდენიმე გარემოება: პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ „ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრის“ საერთაშორისო საბჭოს 6 წევრი, ხელმისაწვდომია ლექსიკოგრაფიის ევროპული სამაგისტრო პროგრამის EMLex რესურსები, უნივერსიტეტის პროგრამა და მისი განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს EMLex-ს პროგრამის საერთაშორისო კონსორციუმთან, 2017 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა აღნიშნული კონსორციუმის ასოცირებული წევრი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“;
- „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“;
- „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“;
- „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები“;
- ფაკულტეტის დებულება (იხ. მ. 10 „ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური“);
- „აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი“;
- პროგრამის შედეგების რუკა; სამიზნე ნიშნულების რუკა; პროგრამის მიზნებისა და შე¬დე¬გე¬ბის ურთიერთშესაბამისობის რუკა;
- პერსონალის შეფასების წესები და ფორმები (კანდიდატის/ლექტორის თვითშეფასების ფორმა; აკადემიური პერსონალის თვითშეფასების ფორმა, აკადემიური პერსონალის საქმანობის შეფა-სების წესი, სასწავლო პროცესში ჩართულ მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი,

საჩვენებელი და სემესტრული ლექციების კოლეგიური შეფასების და განვითარების კონცეფცია; ლექციაზე/სემინარზე დაკვირვების წინმსწრები ფორმა; ლექციაზე/სემინარზე დაკვირვების პროტოკოლი და მისი დანართები; ლექციაზე/სემინარზე დაკვირვების შემდგომი შეხვედრის პროტოკოლი); ○ შეხვედრების ოქმები; ○ ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები; ○ პროგრამის შეფასება დამსაქმებელთა მხრიდან; ○ პროგრამის შეფასების მიზნით მომიჯნავე სფეროს კურსდამთავრებულთა და მოქმედ სტუდენტთა გამოცდილებების შესწავლა ○ გარე შეფასებების ამსახველი წერილები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

–

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები. II (მაგისტრატურა)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ირინე დარჩია



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ელისო ფანცხავა



სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ გვიანიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ანა მჭედლიშვილი